ხუთშაბათი 1919 წ. აპრილის 24 № 87
წლიწადი მეხუთე

ხუთშაბათი 1919 წ. აპრილის 24 № 87
ფ ა ს ი 1 მან. და 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—90 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 30 მანეთი. ცალკე № 1 მ. 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 30 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

დის შვილი ვალოდია ადამია, მეუღლე დარია, სიძე ალექსანდრე რაზუმოვი ცოლით ციცინათი, ბიძაშვილი იოსებ ძიგული ცოლით ბაბუცათი, ბიძაშვილი დიმიტრი და ანეტა გიგიბერია მწუხარეობით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ

ს ი ლ ო ვ ა ნ ს ი მ ო ნ ი ს ძ ი ს

## გ ი გ ი ბ ე რ ი ა ს

ვერაგულად მოკვლას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ექვს საათზედ (სასამართლოს ქუჩა № 22) გამოსვენება აპრილის 24 დილის ათ საათზე ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზედ.

(1—2320—1)

თბილისის სასტუმროების, მორთულ ოთახების, სასადილოების და სხვათა ურთიერთ მომხმარებელი საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს ამა საზოგადოებისა, წევრთ გამგეობის თავმჯდომარის

## სილოვან სვიმონის ძის გიგიბერიას

ვერაგულად მოკვლას. მიცვალებულის გამოსვენება მოხდება საკუთარის ბინიდან სუდებნის ქუჩა № 22 დღეს 24-ს აპრილს ათს საათზედ დილით ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზედ.

(1—2322—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მღვდ. ნესტორ, მიტროფანე, სვიმონი ცოლით გაიანეთი, ელენე და ანტონი კონტრიძენი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ უდროვოდ დაკარგვას ძვირფასი რძლის

პოლინა პრაკოფის ასული

## კ ო ნ ტ რ ი ძ ი ს ა ს

რომლის დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 24 აპრილს, ლიტურგიის შესრულების შემდეგ დიდუბის ეკლესიის გალავანში, საცა მიცვალებული ასვენია ამ ჟამად. პანაშვიდები იქვე ყოველდღე საღამოს 6 საათზე. 1—2317—1

ღრმად დამწუხრებული მიხეილ ეგნატეს ძე კონტრაძე თავის პაწია ქალით თინათი გულის სიღრმიდან ამოხეთქილ მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და მეგობრებს უდროვოდ დაკარგვას, პირველის მეუღლისა, ხოლო მეორის საყვარელის დედისა

## პოლია კონტრიძისა

რომლის დაკრძალვა მოხდება 24 აპრილს დღითი ხუთშაბათს, დიდუბის ეკლესიის გალავანში (სამღვთო ლიტურგის შესრულების შემდეგ), საცა მიცვალებული ამ ჟამად ასვენია. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე იქვე. 1—2317—1

მწერალთა კავშირის საბჭო აცხადებს, რომ გარდაცვალებიდან ორმოცის შესრულების გამო მგოსანის

## ნინო ორბელიანის

ხსოვნის აღსანიშნავად მის სასაფლაოზე, დიდუბეში ხუთშაბათს, 24 აპრილს, დღის 1 საათზე გადახდილ იქმნება პანაშვიდი.

(1—48—1)

პარასკევს, 25 აპრილს საღამოს 6 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის აღსანიშნავად პანაშვიდი

მავრე (მავრიკო) მიხეილ ს ძის

## ყიფიანის

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ საზოგადოებას დ და ოლგა კარლოვნა, მეუღლე ელენე კონსტანტინეს ასული ყიფიანები და ქეთევანა მიხეილის ასული ვაჩნაძისა ქალიშვილითურთ.

1—2321—1

ღრმად დამწუხრებულნი: დედა სალომე, ძმა გიორგი, და ნენიკო, სიძეები: გიორგი ნანეიშვილი, სამსონ მაჭავარიანი, დისწულები და ძმისწულები: ზურა, ნადია, გოგუცა, ცუცუნა, გუგული, კოტე, გრიშა, დიმიტრი და კიტუშა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ და ძვირფასი

## აკაკი მდივნი

გადახდილ იქნება სოფელ გეგუთში 29 აპრილს.

2—2310—1

ხუთშაბათ 24 აპრილში დიდუბის ეკლესიაში იქმნება გადახდილი ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

## ნიკოლოზ მალაქიასძე მირინაშვილის

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ღრმად დამწუხარებული დედა ნინო, მეუღლე გარდაცვალებულისა ვარო, ძმები რაჟდენა, გიგა, ლევანი, რძლები კატო, დარო, ძმისწული სერაფიმა, და ანა, სიძე გიორგი მამაცაშვილები, სიდედრი ანა, სიმამრი ნიკა კარდანახლიშვილები, ბიძაშვილები შაქრო, საშა და სიძე შოშიაშვილი გიორგი.

(1—2318—1)

თ-დი გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრან ბატონი ღრმად დამწუხრებული აცნობებს ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ საყვარელ მამის გენერალ-ლეიტენანტის

თ-დ ალექსანდრე ერეკლეს ძე

## ბაგრატიონ მუხრან-ბატონის

ტრაღიკულ სიკვდილს, რომელიც წარსულ წლის ღვინობისთვის 19-ს ქ. პიატიგორსკში მოხდა. პანაშვიდი დღეს, აპრილის 24-ს საღამოს 5 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში.

1—2319—1)

## დ ა ა რ ს დ ა
## საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა
## ა რ ტ ე ლ ი

რომელიც მიზნათ ისახავს მთავრობის, საზოგადო და კერძო დაწესებულებათ და კერძო მწარმოებელთ პირველ მოთხოვნისთანავე დაუნიშნოს მომზადებული და საიმედო ბუხგალტერები, მათი თანაშემწენი, საქმეთა მმართველები, ხაზინადრები, მოლარეები, საწყობის გამგენი და სხვანი არტელის მთელი შემადგენლობის პასუხისმგებლობით. არტელის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ის უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. თხოვნების მიღება გრძელდება. ვისაც არტელში ჩაწერა სურს, შეუძლია განცხადება არტელის გამგეობის სახელზე გამოგზავნოს (თბილისი, ფრეილინის ქ. № 11). საჭირო ცნობები და არტელში ჩაწერის წესები მსურველს პირველ მოთხოვნისთანავე გაეგზავნება.

(1—49—1)

რესტორანი **პ ა რ ი ზ ი** რესტორანი

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

სრულიად ახლა გადაკეთებული

ცალკე მოწყობილ დარბაზებით

გაიხსნა 14 მარტიდან

მზადდება ყოველ დღე საგანგებო: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიზ კერძებით.

საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

საგანგებო ყავა-ხანა

◆◆◆ ფასები ზომიერია ◆◆◆

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფას-დაკლებით.

(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

სასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25—32—25 პატივისცემით: ხ. გიგიბერია და ვარ. გვათუა.

## ლექციის კურსები

მ ს ა ხ ი ო ბ

## ელო ანდრონიკაშვილისა

1 ლი აპრილიდან გაიხსნება ლექციის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება საღამოობით 5-დან 7 საათ.

25—39—21

პირველ მაისიდან გაიხსნება რუსულ-ქართული საზაფხულო

## საბავშო ბაღი

## გიგინეიშვილისა

საგნები: ფრანგული ან ინგლისური (მშობლების სურვილის მიხედვით) ფიზიკური ვარჯიშობა, ცეკვა, პლასტიკა, მუსიკა, ხატვა და ყვავილების მოვლა.

მიიღებიან ბავშვები 4—9 წლამდის.

ჩაწერა და ცნობების მიღება 3 საათიდან 6 საათამდის.

ოლღას ქუჩა № 31. ბინა 2. საბავშო ბაღი. ტელ. 2 04.

12—2289—7

მედიცინის დოქტორი

## ა. გ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) საველე ტელეფონი № 43.

60—2171—26

ვაზის, ტომატის და სხვა მცენარეთა შესაკონავად ფუთობით იყიდება

## დრაცენა

ელისაბედის ქუჩა, № 105—ეზოში 10 საათ. 12 ს.-მდე.

1—2311—1

საკათოლიკოზო საბჭოს

## იურისკონსულტის ადგილი თავისუფალია

თვიური ჯამაგირი ათისი (1000) მანეთი.

თხოვნები მიიღება საკათოლიკოზო საბჭოში 1919 წ. მაისის პირველამდე.

(3—2315—2)

## სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

ხუთშაბათს, 24 აპრილს წარმოდგენილი იქნება

I. სევილიელი დალაქი — II. ა ლ ე კ ო

პარასკევს 25 აპრილს „აბესალომ და ეთერი“, შაბათს 26 აპრილს „პიკოვაია დამა“, კვირას 27 აპრილს დილით საბავშო წარმოდგენა, საღამოთი „ფაუსტი“.

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

## საქართველო ბრძოლის ველეზე.

საქართველოს ჯარი ორ ფრონტზე აქტიურ სამხედრო მოქმედებას აწარმოებს და ორივე მიმართულებით მას გამარჯვება მიუძღვება. ერთი ნაწილი გენერალ კვინიტაძის სარდლობით იჭერს საქართველოს სამხრეთის ნაწილს, რომელიც დიდი ხანია დედასამშობლოს იყო მოწყვეტილი და ჯერ ოსმალთა და მერე რუსთა ბატონობით იყო გადაგვარებული. გენერალ კვინიტაძის რაზმი უკვე შევიდა ჩვენს სანატრელს არტაანში და კვალდაკვალ მისდევს ოლთისისა და ყარსის მიმართულებით გაქცეულ მტერს. რამდენი საუკუნეა არტაანის მხარეს არ უნახავს საქართველოს ლაშქარი, რამდენი საუკუნეა იქ არ აფრიალებულა საქართველოს დროშა და ღერბი! რაც დაკარგულად ითვლებოდა და მხოლოდ იშვიათ ქართველთა გულის ნატვრას შეადგენდა, დღეს იგი საქართველოს საზღვრებში შემოიყვანა საქართველოს გამარჯვებულმა მხედრობამ, დაიპყრო და დაისაკუთრა. სამხრეთის სამი კარიდან, არტაანი საქართველოს სიმტკიცის ერთ კარს წარმოადგენდა და ამიტომაც საქართველოს ყველა გამოჩენილ სარდალთა და დიდ მეფეთა მუდმივ ზრუნვად იყო გადაქცეული მისი დაცვა-გამაგრება და მისი დაბრუნება, თუ რომ იგი შემთხვევით ხელში მტერს ჩაუვარდებოდა.

ჩვენ აღტაცებით ვულოცავთ საქართველოს ჯარს და მის სარდალს გენერალ კვინიტაძეს არტაანში ბრწყინვალე შესვლას.

სრული იმედი გვაქვს რომ საქართველოს მხედრობა ამ მხარეში შეურყეველის სიმტკიცით დაისადგურებს და აუჩქარებელის მაგრამ დარწმუნებულის მკლავით გაშლის თავის ოპერაციას მტრის შესამუსრად და საქართველოს იმ ძვირფასი მიწა-წყლის დასაუფლებლად, სადაც გაიშალა და გაიფურჩქვნა ქართველი ერის ძველი კულტურა და ლაღი სული.

სამარადისო ეროვნულ საქმეთა განაღდება მიღწევაში, ჩვენს შეიარაღებულ ძალას თან გაჰყვება ყველა შინ დარჩენილების ერთგულება და დაუზოგველათ შეეწირვება მათი ქონება და სიცოცხლე!

სამხრეთის ფრონტის ამ სასიხარულო ცნობებს, ჩრდილოეთის ფრონტის გამარჯვების ცნობები ავსებს და ადიდებს ჩვენი ჯარის მეორე ნაწილი, რომელსაც გენერალი ი. გედევანიშვილი და ვ. ჯუღელი მეთაურობს, მოხალისეთა რაზმს ეკვეთა, დაამარცხა პირველ შეხლაში და წინ გაიგდო. როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, ჩვენი ჯარი მდინარე მზიმთას მისდგომია. აქაც ისე, როგორც სამხრეთშიც ჩვენს ჯარს წინ მიუძღვის თავისუფლების შეგნების ძალა და სამართლიანობის იდეა. ორთავე მიმართულებით, ქართველი ჯარი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიას იბრუნებს და საქართველოს ჭიშკრებს ამაგრებს. არც სამხრეთი და არც ჩრდილოეთით ჯერ მიღწეული არ არის ის მიჯნა, სადაც უნდა ჩვენი ჯარი შესდგეს და გამაგრდეს. ამ მიზნის მისაღწევად, ქართველმა საზოგადოებამ და მთელმა ერმა საჭირო ხარკი უნდა გაიღოს. ერში უნდა გაიღვიძოს იმ აღფრთოვანებამ და ენტუზიაზმა, რომელიც არ შედრკება არავითარი მსხვერპლის წინ.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ დამოუკიდებელმა საქართველომ დღემდე მხოლოდ იმდენად გასძლო და იმდენად იცოცხლა, რამდენადაც მისი მდგომარეობა ამბოხებულ ბრბოებს და მტრის შემოსეულ ჯარებს იგერებდა და ამარცხებდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა შემდეგშიაც სავსებით დამოკიდებულია ჩვენი სამხედრო ძალის სიკარგესა და სიმტკიცეზედ. ჯერ კიდევ ბევრი დრო გავა, ვიდრე საქართველოს ირგვლივ ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგებოდეს და მშვიდობიან ცხოვრებას მიეცემოდეს. მანამდე საჭიროა მაქსიმალური სამხედრო ძლიერების ყოლა.

ჩვენში ბევრი თქმულა ცარიელი სიტყვები საერთაშორისო სოლიდარობასა და ყველა დემოკრატიათა ერთობაზე, ბევრი იმთვრალეს ამ სიტყვებით, მაგრამ ცხოვრებამ დაგვიმტკიცა რომ ამ სიტყვების ამარა ერთ წუთსაც ვერ გასძლებდა ჩვენი დამოუკიდებელი საქართველო. სიტყვებით შექმნილი და დაცული ქვეყანა არსად ნახულა და ვერც ჩვენი განახლებული საქართველო გასძლებდა განყენებულ ლოზუნგების ძალით. სამხედრო ძალამ შეგვინახა დამოუკიდებელი საქართველო და სამხედრო ძალა შეგვინახავს მას შემდეგშიც.

მივსცეთ ყველაფერი ჯარს და შევქმნათ ძლიერი მხედრობა. და დამოუკიდებელი საქართველოც იარსებებს.

# უკანასკნელი ცნობები

ჩვენმა ჯარებმა სოჭის მიმართულებით გაგრა აიღეს, ახალციხის მიმართულებით კი ქ. არტაანი.

დიუსელ-დორფში გაფიცვა იზრდება.

ბრიტანეთის ზონაში, კელნის ოლქში მუშები გაიფიცნენ, ინგლისელები გაფიცულებს სასტიკად დაემუქრენ.

ბოლშევიკები ბესარაბიაში მოკავშირეებს ახევინებენ.

ინგლისური პრესის ცნობით უფაში ბოლშევიკებს 1800 კაცი მოუკლავთ.

ინგლისური ცნობით ადმ. კოლჩაკს ბოლშევიკთა არიერგარდი მომწყვდეული ჰყავს.

ბოლშევიკებმა კამენეც-პოდოლსკი აიღეს

## სომხეთში

**სომხეთის მადა**

როგორც გაზ. „ჯოლოვორდ ძაინი" იტყობინება, ინგლისის მისიის წარმომადგენელი ერევანში პოლკოვნიკი ტამპერლეი სომხეთის მთავრობას შეჰკითხებია, 1914 წლის რუსეთის ოლქებიდან, რომელს სთვლიან ისინი თავის განუყოფელ ნაწილებად.

ამ კითხვებზე სომხეთის მთავრობამ უპასუხა რომ ასეთი ოლქები არიან:

I. მთელი ერევნის გუბერნია;

II. მთელი ყარსის ოლქი;

III. თბილისის გუბერნიის შემდეგი ოლქები: 1) ახალქალაქის მაზრის შემდეგი ორი ნაწილი: ა) ტაფაწყურის ტბის ჩრდილოეთით ბორჯომის სასოფლო საზოგადოების ნაწილი გორის მაზრაში ულელტეხილამდე, რომელიც მას ცხრაწყაროს მიდამოდან ჰყოფს; ბ) ახალქალაქის მაზრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ნაწილი ბორჩალოს მაზრისა, რომელსაც წალკა ჰქვიან (მის დასავლეთი ნაწილი), ამ სექტორის დასავლეთი ნაწილი, საზღვარია ხაზი, რომელიც გოლიდაგის მთის მწვერვალზე და არგევანის მთიდან აღმოსავლეთით 7 ვერსზე მოშორებით გაივლის. ბორჩალოს მაზრა რომელსაც განსაზღვრავს ჩრთილოეთით ხაზი გრიკარი! მთიდან დაწყებული ხრამის გაყოლებით ვიდრე რკინის ლიანდაგამდე, ასე რომ ბოლნისხაჩინი და შულავერი საზღვრის სამხრეთით რჩებიან.

IV. განჯის გუბერნიის ნაწილი:

1) ყაზახის მაირის სამხრეთი ნაწილი ისე, რომ კულპ-უზუნტალა და ჯულანი საზღვრის სამხრეთით დარჩნენ.

2) განჯის გუბერნიის სამხრეთი ნაწილი ისე რომ სოფ. ჩარდახლუ და ჩაიკენდი (გეთაშენი) საზღვრის სამხრეთით დარჩნენ.

3) ჯევანშირის მაზრის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ისე რომ ტერ-ტერი სომხეთს გარეშე დარჩეს.

4. შუშის მაზრის დასავლეთი ნაწილი ისე რომ სოფ. აგდამი და კაჯარი სომხეთის გარეშე რჩებიან.

5. ყარაგიანის (ჯებრაილის) მაზრის ნაწილი სოფ. ვანქით, გადრუდით ეგერლუთი და არაქელით.

6. ზანგეზურის მაზრა მისი სამხრეთ დასავლეთი ნაწილის გამონაკლისით, რომელშიაც შედიან მთა კირსეთი, სოფ. შაჰვერდილიარი და არეზზე მდებარე სადგური ადგილი.

ზემო ჩამოთვლილ ტერიტორიის შემდეგ ნაწილებზე რესპუბლიკის მმართველობა არა ვრცელდება:

I. მთელ ყარსის ოლქზე.

II. თბილისის გუბერნიაში ა) ახალქალაქის მაზრაზე რომელიც ინგლისის კონტროლის ქვეშ იმყოფება. ბ) ბორჩალოს მაზრის სოფ. კამენკიდან ჩრდილოეთით მდებარე ნაწილი.

მაზრის ჩრდილო ნაწილი სად. სადახლომდე ნეიტრალ ზონას შეადგენს და მის ჩრდილოეთი ნაწილი კი ქართველ ჯარს ეჭირება.

III განჯის მაზრის ნაწილზე.

IV. ერევნის გუბერნიის: ა) ნახიჩევანის მაზრაზე მის ჩრდილო-დასავლეთ სექტორის გამოკლებით სადაც რესპუბლიკის მმართველობაა. ბ) შარურის მაზრაზე.

## ჩხეიძისა და წერეთლის დეპეშა

საქ. რესპ. გარეშე საქმეთა მინისტრს.

თქვენი დეპეშა დამფუძნებელ კრების შესახებ მივიღეთ. კონსტანტინოპოლის ჩვენი დელეგაციიდან მხოლოდ ორი ჩამოვედით. ავიღეთ ნებართვა აგრეთვე ნიკოლაძისა და ექიმ ღამბაშიძისათვის. სხვების ნებართვების მიღებასაც ვცდილობთ. ვამზადებთ ნიადაგს და თითქმის ყოველ მხრით თანაგვიგრძობენ. ჩვენს საკითხს, ალბად, მტრებთან ზავის შეკვრის შემდეგ განიხილავენ.

ხელს აწერენ: ჩხეიძე, წერეთელი, გვარჯალაძე.

## ბრძოლის ველზე

**სახალხო გვარდიის ცნობა.**

დენიკინის წინააღმდეგ შეტევა დაიწყო აპრილის 17 დილის 4 საათზე ცხენოსანი დივიზიონი ხელ ახლად გადავიდა მდ. ბზიბზე. გადასვლის დროს დაიხრჩო ერთი ცხენოსანი და სამი ცხენი. მარჯვენა ფრთა მიუახლოვდა მამულ „ოტრადნო"-ს, ხოლო მარცხენა დიდ მთავრისეულ მამულს „კოლხიდა"-ს. აქ დავატყვევეთ 4 ოფიცერი და 2 ჯარისკაცი. მტრის არტილერია ცხენოსან დივიზიონს უშენს. ჩვენი ნაწილები წინ მიიწევენ დღეს აპრილის 17-ს ჩვენმა ჯარებმა 14 საათზე გაგრა აიღეს და 6 ვერსით წინ წაიწიეს. ორივე მხრით გარს შემოვლილმა მტერმა წინააღმდეგობა ვერ გაგვიწია და ილტოდა. ჩვენი ზარალია: მოკლული 2 და 3 მსუბუქად დაჭრილი. მრავალი ოფიცერი და ჯარისკაცი მოხალისეთა ჯარის დავატყვევეთ. დოვლათსა და ტყვეთა რაოდენობას ჩქარა გამოვარკვევთ. ჯარის ნაწილთა და სახალხო გვარდიის ქცევა ყოველგვარ ქებას აღემატება.

**სახალხო გვარდიის შტაბის ცნობა.**

**აპრილის 18.** დღეს დილის 9 საათზე, სახალხო გვარდიის ცხენოსანმა დივიზიონმა მდ. მახადირის გეზი დაიკავა. დამარცხებულმა მტერმა, ამბოხებულ მცხოვრებთა თოფის ცეცხლში გახვეულმა მდ. მზიშტას იქით დაიხია.

**გაგრა.** შეტევით აპრილის 18-ს, დილის 7 ს., ჩვენმა ჯარებმა მდ. მეხადირის ხაზი დაიკავეს. მოხალისეთა ჯარები სოფელ „ვესიოლოეს" დასავლეთით თავს იყრიან. დაზვერვას განვაგრძობთ.

**აპრილის** 22. ბრძოლის ველზე მდგომარეობა უცვლელია. მდინ. მზიმთის მარცხენა ნაპირზე მტერი არ არის. მზვერავთა ცნობით, მოხალისეთა ძალები ადლერის მიდამოში თავს იყრიან.

მდ. მზიმის მარჯვენა ნაპირის მცხოვრებნი გვთხოვენ შველას იმ საშინელ შევიწროვებისაგან, რომელსაც მოხალისეები მეამბოხეებს აყენებენ დაზარალებულთა სიტყვით, მოხალისენი არც ქალს, არც ბავშვს არ ინდობენ... მოკლულებს მდ. მზიმთაში ჰყრიან.

**ახალციხის ბრძოლის ველზე.**

გენ. ართმელაძის რაზმი სენდივერან-გიუნდაშ-თამალში არის დაბანაკებული. რაზმი უცდის ჩამორჩენილ არტილერიას და სურსათის ურმებს. წინ გაგზავნილ მზვერავებს მტერი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. გენ. ართმელაძის მოხსენების მიხედვით ჯარის სულიერი განწყობილება მშვენიერია. გენ. სუმბათაშვილმა დღეს პირადად დაზვერა სოფ. წყაროსთავი. მის მიახლოვებისას სოფლიდან გამოვიდა შარშად გამლილი 250 კაცი. გენერალ სუმბათაშვილმა წინამძღოლი გამოიძახა, აუხსნა მდგომარეობა და იარაღის ჩაბარება მოსთხოვა. წინამძღოლი დაეთანხმა, მაგრამ სთხოვა რომ ნება მიეცა ჩელდირის რაიონის სხვა სოფლებსაც მოლაპარაკებოდა. წყაროსთაველებს 3 დღის ვადა მიეცათ, რის შემდეგაც უნდა დაიწყონ იარაღის ჩაბარება და ახალქალაქ-არტაანის გზა უნდა გასწმინდონ.

აღსანიშნავია, ასეულის უფროს კაპიტან მარინაშვილის ხელმძღვანელობით საპიორთა თავდადებული მუშაობა, რომელნიც მიუხედავად ცუდი ამინდისა და ადგილ-მდებარეობის ხანთარის ულელტეხილზე გადასული გზა მაღალ თოვლით დაფარული გასწმინდეს.

**გაგრის ჯარის საველე შტაბის ცნობა.**

**აპრილის 22.** აპრილის 17, ბრძოლაში ჩვენმა ჯარებმა წამოიყვანეს ტყვედ 88 ოფიცერი, 150 აფიცერი, 150 ჯარისკაცი, მოკლულია მათგან 87 ჯარისკაცი და ოფიცერი. გაქცეულ მტერს დარჩა ჰოსპიტალი, რომელშიაც 25 ოფიცერი და 360 ჯარისკაცი წვანან. ღამემ ბრძოლის ველზე მშვიდობიანად ჩაიარა.

**ახალციხის ბრძოლის ველი.**

**/ არტაანის აღება.**

აპრილის 18 და 19 შევიწროვებული მტერი ჩვენმა ჯარებმა კლდეზე ასდენეს, რომელიც კიარკაბან-ორაჩასის ხაზზე მდებარეობს. აპრილის 20 ჩვენმა ჯარებმა თავგამოდებით შეუტიეს და მტერი იმ მწვერვალებიდან გადასდევნეს. მტერმა ისე ჩქარა დაიხია, რომ ვერ მოასწრო მდ. მტკვარზე მდებარე არტაანის მარცხენა სიმაგრეებზე გამაგრებულიყო. ჩაულის ულელტეხილზე დარჩათ 100 ყუმბარაზე მეტი. უკან დახევის დროს მტერი სცდილობდა ხიდების დაწვას, მაგრამ ალში გახვეულ ფიხრელის ხიდის ჩვენი არტილერიის დახმარებით გადარჩენა. შევსძელით ამან მტკვრის მარჯვენა შეძლება მოგვცა ნაპირზე გადასვლისა.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გამაგრებულმა მტრის ნაწილებმა ჩვენი ჯარის შეტევას ვერ გაუძლეს და ოლთისა და ყარსის მიმართულებით დაიხიეს. მე-6 პოლკის მოწინავე რაზმმა მტერს დაატოვებინა ზარბაზანი 18 ყუმბარის ყუთით. ჰაზ-ტანახის სიმაგრეებზე ჩვენ წავართვით მტერს ციხის 4 გაუბიცა მრავალი ყუმბარებით.

თვით არტაანში ხელთ ვიგდეთ დიდძალი თივა და პური. არტაანში მცხოვრებლები არ აღმოჩნდნენ. ჩვენი ზარალი ჯერ გამორკვეული არ არის, ხოლო მტერი ძალიან არის დაზარალებული. ადგილობრივ მცხოვრებთა ჩვენებით, მტერს ხელმძღვანელობენ: ჯემალ-ბეგ და რომან-ბეგ ხიმშიაშვილები. სერვერ-ბეგის სიკვდილი მართალი არ გამოდგა, ამბობენ რომ სანამ ჩვენი ჯარი მტკვარს გადალახავდა, მტრის რაზმებს იგი მეთაურობდაო.

## დამფუძნებელი კრება

აპრილის 17-ის კრებაზე მთ. თავმჯდომარის აღმასრულებელმა დამფუძნებელ კრებას მოახსენა, რომ მთავრობამ აპრილის 16-ს უბრძანა სოჭის მხარეს ჩვენ ჯარებს შეტევაზე გადასულიყვნენ.

აპრილის 16 დილით ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და წინ მიიწევენ. შეტევა გაგრძელდება მანამ, სანამ ჩვენი ჯარები რესპუბლიკის საზღვრებს არ დაიჭერენ.

ფრაქციათა წარმომადგენლების გამოსვლის შემდეგ, რომელიც მთავრობას დახმარება აღუთქვეს, დამფუძნებელმა კრებამ შემდეგი წინადადება მიიღო: მოისმინა რა მთავრობის განცხადება სოჭის მხარეს სამხედრო მოქმედების დაწყებაზე, დამფუძნებელი კრება აცხადებს, რომ მთავრობამ ყოველი ღონე იხმა რათა მშვიდობიანი გზით დაეცვა რესპუბლიკის უდაო ნაწილები სოჭის ოლქში, მაგრამ კონტრ-რევოლიუციონური და აგრესიული მიზნები მოხალისეთა, რომელნიც ჩვენს უფლებებს ფეხით სთელავენ იძულებული გაგვხადეს იარაღის ძალით აღვადგინოთ ჩვენი უფლებანი. დამფუძნებელ კრებას სწამს რომ საქართველოს რევოლიუციონური გვარდია და ჯარი მთელი თავისი რევოლიუციონური აღფრთოვანებით შესძლებენ დაიცვან დემოკრატიული რესპუბლიკა შეიარაღებულ რეაქციის შემოსევისაგან.

დამფუძნებელი კრება იწონებს მთავრობის ნაბიჯებს და გადადის შემდეგ საკითხებზე.

## ქრონიკა

**თუჯის ჩამოსხმისათვის საქართველოში.** ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროსთან დაარსდა საგანგებო კომისია რომლის მიზანია მოაწესრიგოს საქართველოში თუჯის ჩამოსხმის საქმე. კომისიამ ამ დღეებში წარადგინა პროექტი, რომელშიაც ნათქვამია მოეწყოს არსენალთან თუჯის ჩამომსხმელი ქვაბი. კომისია შეუდგა იმ ლითონების გამორკვევას რომელნიც საჭიროა თუჯის ჩამოსასხმელად.

◆ **900,000 მან. მოპარვის განზრახვა.** ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდნენ ადერბეიჯანის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ამხანაგი ტემირ-ბეგ მაკინსკი მინისტრთა თავმჯდომარის კანცელარიის დირექტორი რაშიდ ბეგ იზმაილოვი და ექიმი ჰამიდგანი-ზადე მათ დავალებული ჰქონდათ თბილისის სახელმწიფო ბანკიდან 900,000 მან. მიღება ეს ფული ადერბეიჯანის მთავრობის მიერ გადადებული იყო სამხრეთ დასავლეთ ადერბეიჯანის ლტოლვილთა დამხმარე ორგანიზაციის მოსაწყობად. აღნიშნული თანხა ხაზინიდან მიიღეს 17 აპრილს, იზმაილოვმა ეს თანხა თავის ბინაზე (სასტუმრო ორიანტში) წაიღო. შენახული ფული უეცრად დაიკარგა 18 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა საგანგებო რაზმის უფროსს უბრძანა ენერგიული ზომების მიღება დაკარგულ თანხის აღმოსაჩენად. გამოძიების შემდეგ, გამოირკვა, რომ ფულის მითვისება განუზრახავთ თვით დირექტორსა და მის შიკრიკს რომელთაც ფული სასტუმროს ღუმელში დაუმალავთ. საგანგებო რაზმის უფროსმა ბოროტმოქმედნი დააპატიმრა.

◆ **ახალი პროგრამა.** განათლების მინისტრის ამხანაგ ნ. ცინცაძის წინადადების თანახმად შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ახალი პროგრამა უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ. კომისიაში შედიან საშუალო და პირველდაწყებითი სასწავლებლების დირექტორები და ინსპექტორები.

### სხვა და სხვა ამბები

◆ **ს. გიგიბერიას მოკვლა.** 20 აპრილს ღამით სასამართლოს ქუჩაზე მცხოვრებ ს. გიგიბერიას ბინაზე შეიჭრნენ რამოდენიმე შეიარაღებული ბოროტგამზრახველი და რევოლვერის ოთხი ტყვიით მოჰკლეს ს. გიგიბერია ერთი მკვლელთაგანი მილიციელი აღმოჩნდა.

◆ **ინგლისელ ექიმის მოკვლა.** 20 აპრილს (აღდგომა ღამეს) ღამე მიხეილის ქუჩაზე სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ მიდიოდა ქალებთან ერთად ინგლისელი ექიმი. მათ თავს დაესხნენ ბოროტგამზრახველნი, შეათრიეს სამხედრო სასწავლებლის ეზოში, მოჰკლეს ექიმი და ქალები გააუპატიურეს. დააპატიმრეს რამოდენიმე მკვლელი.

◆ **თავდასხმა.** 18 აპრილს, ღამის 12 სამთზე, მატინოვის ქუჩაზე 3 შეიარაღებული პირნი თავს დაესხნენ ადერბეიჯანის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ამხანაგ ტემირბეგმაკონსკის და სიკვდილის მუქარით წაართვეს ფულად 3,000 მ. და ოქროს საათი. ეჭვით დააპატიმრეს მილიციელი ქვირიძე.

◆ **მკვლელობა.** 18 აპრილს შუადღის 12 საათზე (ხუდადოვის ქ. № 149) ა. ჟღენტმა უცაბედად მოჰკლა მ. კანდელაკი. მკვლელი დააპატიმრეს.

◆ **ბოროტ გამზრახველის მოკვლა.** 17 აპრილს საღამოს სადარაჯოზე მდგომ მილიციელ გოგმაჩაძემ (ბორჯომისა და მიხეილის ქუჩის კუთხეში) შეამჩნია რომ რამოდენიმე შეიარაღებული პირნი აპირებდნენ ინგლისის საინდენდანტოს კონტრ-აგენტ ბარასოვის ბინაზე თავდასხმას. მილიციელმა სროლა აუტეხა ბოროტ-გამზრახველთ და მოჰკლა ერთი მათგანი.

◆ **გაძარცვა.** აპრილის 22 საღამოს ახმეტის ქუჩაზე სოფ. დავარიანის სახლში შევიდა რამოდენიმე მილიციონერის ფორმაში გამოწყობილი შეიარაღებული ბოროტმოქმედი და სიკვდილის მუქარით წაართვეს 10,000 მანეთი.

◆ **სააგენტოები სომეხ ლტოლვილთათვის.** სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებული დავიდხანიანმა დანიშნა ფოთში და ყიზბეგში სააგენტოები, რომელნიც მოაწესრიგებენ იქ მყოფ გამვლელ სომეხ ლტოლვილთა საქმეებს.

◆ **პური სომეხ-ლტოლვილთათვის.** სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს შუამდგომლობით ამერიკელთა კომიტეტი დასთანხმდა ყოველ დღიურად გაიღოს თბილისში მყოფ სომეხლტოლვილთათვის 16,000 სულის სამყოფი პური. ამას გარდა ყოველ კვირეულად გაიღონ თითონ ვაგონი პური მე-300 ვერსზე მყოფ სომეხ ლტოლვილთათვის

◆ **ილია ნაკაშიძის მოხსენება.** კვირას, 27 აპრილს, საღამოს 7-ნახევარ საათზე, ქართულ კლუბის დარბაზში ილია ნაკაშიძე წაიკითხავს მოხსენებას საქართველოს დელეგაციასთან უცხოეთში თავის მოგზაურობისა და ევროპიელ ხალხთან დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. დასწრება თავისუფალია.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს, სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „უდანაშაულოდ დასჯილნი". დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **კონკურსი ქართ.** სამუსიკო საზოგადოების გამოცხადებული ლექსების კონკურსი კანტატისათვის, რომელიც შესრულდება 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავს, უკვე დასრულდა. რამდენიმე ლექსი მიიღო ქართ. სამუს. საზოგადოებამ და ამ დღეებში გაირჩევა.

## მუნიციპალური ცხოვრება

**ჯარში გაწვეულთა სია.**

ქალაქის გამგეობის ბინაში გამოფენილია სია იმ ყმაწვილ კაცთა რომელნიც დაბადებულან 1899 წელში რომელნიც ამ წელს ჯარში უნდა გაიწვიონ.

**გაფიცვის გარშემო.**

საავათმყოფო უბანში საქალაქო ქსენონები მოკლებული არიან ელექტრონის სინათლეს არ მოქმედებს სამექანიკო დამრეცხი ქარხანა რის გამოც საავათმყოფოებს გამოელიათ სუფთა თეთრეულობა და მოგროვდა დიდძალი სარეცხი. მიზეზი ამისა ის არის, რომ საავათმყოფო უბნის მემანქანები არ მუშაობენ ყოფილ გაფიცულ ქალაქის მოსამსახურეთადმი სოლიდარობისადმი და თხოულობენ კოლექტიურათ სამსახურიდან გასულ ქალაქის მოსამსახურეთა სამსახურში დაბრუნებას.

**წინასწარი ზომების მიღება ხოლერის წინააღმდეგ.**

ვინაიდან კერძო ცნობებია მიღებული ერევნიდგან იქ ხოლერის გაჩენის შესახებ ქალაქის სამედიკო სასანიტარო ინსპექტორი შ. მიქელაძე ქალაქის გამგეობასა სთხოვს დანიშნოს საგანგებო სხდომა ტფილისში ხოლერის შემოტანის წინააღმდეგ ზომების მისაღებათ.

**სამსახურიდან დათხოვნა.**

ქალაქის ლაბორატორიის ყველა მოსამსახურენი, რომელნიც გაფიცვაში მონაწილეობას იღებდნენ, გარდა ლალაევისა, იეგორ ვალიევისა, ნინო ვალიევისა და ქრისტინე კაუტერისა ქალაქის გამგეობის მიერ სამსახურიდან დათხოვნილ იქნენ.

**დეზინფექციისათვის.**

ქალაქის გამგეობამ ნება დართო სამედიკო სასანიტარო ინსპექტორს შ. მიქელაძეს მოიწვიოს ოთხი დეზინფექტორი საქალაქო უფასო აბანოებისათვის, რათა მათ მობანავეების თეთრეულს და ტანისამოს დეზინფექცია გაუკეთოს.

**ჯამაგირების დარიგება.**

ქალაქის გამგეობამ გუშინ დაამთავრა თებერვლის და მარტის ჯამაგირების დარიგება ქალაქის მოსამსახურეებზე. ქალაქის გამგეობა ამ ჟამად ყველა ზომებს ღებულობს სხვა და სხვა წყაროების მოსაძებნათ, რათა თავის მოსამსახურეებს აპრილის ჯამაგირები დაურიგოს მაისის პირველ რიცხვებიდან.

## სააღდგომო მილოცვა

სარდალი და ოფიცერთა საზოგადოება მეორე ცხენოსან რაზმისა ულოცავს ბრწყინვალე აღდგომას მშობელ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ, ქრისტე აღსდგა.

სარდალი პოლკ. ნაცვალიშვილი.

## ვეშაპელის საქმე

აპრილის 17 სასამართლომ დაასრულა ვეშაპელის საქმის გარჩევა.

კაჩუხოვმა და მისმა დამცველმა ბებურიშვილმა თავის სიტყვებში ხაზგაზმით სთქვეს, რომ თუ სასამართლომ ვეშაპელი გაამართლა, ეს იქნება კაჩუხოვის გამტყუნება და მისი მორალური სიკვდილიო.

ვეშაპელმა თავის საპასუხო სიტყვაში განაცხადა, რომ პროკურორ დილევსკისა, საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარის ივ. ჯაფარიძის და მ. სესიევის სიძის, დავ. კალანდაძის ჩვენებათა შემდეგ ნათლად დამტკიცდა ფაქტი ივ. კაჩუხოვის მექრთამეობისა, ხოლო გერ. მახარაძის და იას. აფაქიძის ჩვენებამ დაამტკიცა ისიც რომ ივ. კაჩუხოვი მართლაც დათხოვნილი ყოფილა ამ ნიადაგზე რაც შეეხება „კლდეში" დაბეჭდილ ცნობის მიზანს იგი არ იყო პირადი, არამედ საზოგადოებრივი და ეს საზოგადოებრივი მიზანი უკვე მიღწეულია მით, რომ ბ-ნი კაჩუხოვი ჩვეულებისამებრ ვეღარ დანიშნეს ახლა უფრო მაღალ ალაგზე და მიუხედავათ „მოხუც" სილ. ჯიბლაძის პროტექციისა, ვერ გაბედეს კაჩუხოვის დანიშნა პროკურორად და მაშასადამე 1535 მუხლის ბრალდება შეუძლებელია.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ხასამართლომ გამოაქვეყნა თავისი ვერდიქტი, რომლის ძალით გ. ვეშაპელი გამართლებულ იქმნა კაჩუხოვმა არ მოუცადა განაჩენის გამოტანას.

## 26 მაისის დღესასწაულის გამო

ოთხშაბათს, 16 აპრილს დამფუძნებელი კრების დარბაზში შესდგა კრება ხელოვნების კომისიის მთელი შემადგენლობისა. კრების მიზანი იყო გაეთვალისწინებინა ის საშუალებანი და საშუალებანი, რომელშიაც შესაძლებელი იყო ედღესასწაულა ქართველ ერს და კერძოთ ქ. თბილისს დამოუკიდებლობის წლის თავი. კრებას დაესწრენ კომპოზიტორები ნ. ნ. ჩერეპნინი, ფალიაშვილი, არაყიშვილი, სახელმწიფო თეატრის კომისარი ალ. წუწუნავა, პ. საყვარელიძე, გ. ქიქოძე, იაკ. ნიკოლაძე, ივ. გომართელი, ს. ფირცხალავა, გრ. დიასამიძე, შალვა დადიანი, პეტრე მირიანაშვილი და სხვ..

კრება გაიხსნა პ. საყვარელიძის თავმჯდომარეობით, რის შემდეგ ბ. გ. ქიქოძემ მოახსენა კრებას, თუ რა ზომები მიიღო კომისიის იმ ნაწილმა, რომელიც გამოყოფილი იყო მთავარკომისიიდან დღესასწაულის მოწყობისთვის მატერიალური წყაროს აღმოსაჩენად.

საერთო მსჯელობის დროს, რომელიც გაიმართა მოხსენების შემდეგ და რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა დამსწრეთ, გამოირკვა, რომ კრება პრინციპიალურად თანახმაა იმ თეზისებისა, რომელიც წამოაყენა ბ. პ. საყვარელიძემ, დღესასწაული. რომელიც გაგრძელდება ერთ დღეს უნდა იქნას ნამდვილი მოქალაქეობრივი ეროვნული დღესასწაული, რევოლიუციონურ ფონზე ამოქარგული. დღესასწაულში უნდა მიიღონ მონაწილეობა რაც შეიძლება ფართო მასებმა. თბილისში დღესასწაულს ხელმძღვანელობს დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისია, ხოლო პროვინციებში ერობები. ქალაქის თვით-მართველობა და სადაც ასეთები არ არიან—ან ინტერ-პარტიული კომისია, ან ცნობილი საზოგადო დაწესებულება. ხელოვნების კომისია პროვინციას ვერავითარ მატერიალურ დახმარებას ვერ მისცემს და ამ მხრივ დღესასწაულის მატერიალური მხარე დამოკიდებულია ადგილობრივ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ღირსება-შეგნებაზე.

ამ დღეს თბილისის ყველა თეატრებში უნდა გაიმართოს კონცერტები, წარმოდგენები, მიტინგ - ლექციები, დაიდგას ოპერები. შესასვლელი ფასები ან ძლიერ მცირე იქნება ან წარმოდგენებზე შესვლა უფასო იქნება. ქ. ფოცხვერაშვილმა წარმოადგინოს გეგმა რომელიც მას შეუმუშავებია და რომლის განხორციელებასაც ის კისრულობს. იმ დღისთვის მას ეყოლება 200 კაცისაგან შემდგარი ორკესტრი, 500 კაცისაგან შემდგარი გრანდიოზული გუნდი და ორასი კაცისაგან სიმებიანი ორკესტრი. ეს გუნდები იქნებიან მოძრავი. დაუკრავენ და იმღერებენ სხვა და სხვა ადგილას. მაგ სასახლის აივანზე. არტისტიულ საზოგადოების და სახელმწიფო თეატრის აივანზე.

ალექსანდრე ნეველის ეკლესიის გალავანში გაიმართება „შევარდენის" ვარჯიშობა, მონაწილეობას მიიღებენ გლადიატორები, შევარდნები; იქნება ცეკვა-ხორუმი, ლეკური, ჯირითობა და სხვა ეროვნული თამაში—ასპარეზობა.

სპეციალურად გამოყოფილ სამხატვრო კომისიას მიენდობა მთავარ-ქუჩებზე და მოედნებზე გამართოს კაბარები, არკები და მორთოს დღის შესაფერად ეს ადგილები.

მიღებულ იქნა ბ. ალ. წუწუნავას წინადადება, რომ ამ დღისათვის ჩამოსხმულ იქმნეს მედალი. ხელოვნების კომისია დაიყო რამოდენიმე სექციად, რათა ინტენსიურად აწარმოვოს მუშაობა, დაამზადოს ცალკე სექციებმა მოხსენება გეგმები საერთო კრებაზე განსახილველად.

## ფოთი

აპრ. 21. მთელი ძველი მილიცია დათხოვნილია. ყველა უბნების დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა მოაწყვეს თავდაცვა. მოქალაქენი ამ მიზნით თვითონ გამოდიან ღამ ღამობით სადარაჯოთ სანამ მოეწყობოდეს ახალი მილიცია. 18 აპრილს, ღამე მოხალისე დარაჯმა დათიკო კილაძემ შეიპყრო სამეგრელოს ცნობილი ყაჩაღები—აბრამია და სარანია, რომელნიც, როგორც ეს ნანახი მიწერმოწერიდან სჩანს დღესასწაულების დროს სათარეშოთ ჩამოსულან ფოთში.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

**25 აპრილი.**

**ინგლისური პრესა.**

**ეკონომიური საბჭო.**

ორშაბათს შესდგა ეკონომიურ საბჭოს მე-12 სხდომა. ვინაიდან აღიძრა

26

# სარქისა და დათა

(ვუძღვნი კნ. ნ. ზ. ჯ... ..ას)

— ისევ რუსეთი, დიდი რუსეთი!
გულში ჩუმ ჩუმათ ნატრობს სარქისა.
დათა კი ამბობს: არ მინდა რუსი,
წყალმაც წაიღოს მთლათ, სულაც ისა!

* * *

მან მე წამართვა თავისუფლება,
ენა, ტაძარი, ძველი დიდება...
მან მე ამგავა ჩემ მიწა-წყალიდან,
სხვა დაათესლა,—გული მიკვდება!

* * *

ჩემის სურვილით და ჩემის ნებით
მას შეუერთდი, მან კი რა მიყო?—
დამიმონავა, სისხლით დამცალა,
გამათახსირა, მოლო მომიღო!“

* * *

— „ნეტა რას ბოდავს ეს „გიჟ-ვრაცუა“!—
იცინის აქვე სარქისა ჩუმათ—
რუსს უმადლოდეთ, თორემ თათარი
გადაგვყლაპავდა ორივეს უმათო!

* * *

შენ მას ემდური, მე კი მადლობით
მას ვიხსენიებ, მუდამ ქამს ვნატრობ...
რაც შენ დაგაკლო, ის მე შემმატა,
და მის დაღუპვას ამიტომ ვდარდობ!

* * *

თურქი მომდევდა, რუსმა მიმიღო,
შენ მიწა წყალზე გამაპარპაშა!
მან მომცა სწავლა და განათლება
და მადლობასაც ნუ ვუძღვნი მაშა?!

* * *

„თავისუფლებას“ დიდათ აფასებ
და რაღაც „წარსულს“,—ვინ გიგდებს ყურსა?
მე კი, ძმობილო, სიცოცხლეს ვირჩევ,
მყუდრო ბინასა და ლუკმა პურსა!

* * *

შენ „მეშტვირე“ ხარ, რაღაც უჭკუო,
მე კი—გონების, „რასჩოთის“ კაცი!
გადაჰყოლიხარ „მკვდრებს“ და „წარსულსა“,—
ეგ დაივიწყე, ნუ ხარ „გიჟ-ვრაცი!“

* * *

„ნეზავისიმოსტ“ მომილოცავსო!“—
რაებს მიჰქარავ, რას აჩქჩქებ?!
განგებ თავს გიკრავ, მაგრამ მოვა დრო,—
მაგ მილოცვისთვის ბევრსა გითაქებ!

* * *

კონფერენცია—„კუნფერენცია“
რამდენიც გინდა ნიშნე, ძმობილო,
რუსის სანდურავს ვერ მათქმევინებ,
თუ გინდ ას ლუკმათ გამანაწილოთ!

* * *

„დიდი სომხეთი!“—ძალიან კარგი,
იქ იჰეიროს და აღორძინდეს!
რა მენაღვლება, მაგრამ აქედან
მე ფეხს ვერავინ გამადგმევინებს!

* * *

„დაშნაკცაკანმა“ რაც არახუნოს,
შენ ყური უგდე—თვალი გაგძვრება!
დღეს შენთან არი, ხვალ სხვა უმზერის...
შენი იმედი ადრე დაჰქნდება!“

ნ. აზიანი.

---

მრავალი საკითხი, უმეტეს ნაწილათ ბელგიის შესახებ, გადასწყვიტეს წინადადება მისცენ ბელგიის მთავრობას, რათა მან თავისი წარმომადგენლები დანიშნოს საბჭოს და მის სექციების სხომაზე დასასწრებლათ. საბჭომ მოიწონა გადაწყვეტილება, რომ ის ზედმეტი ნედლი მასალა რომელიც ზავის შეკვრამდე მოკავშირეებს ეკუთვნის გაიყიდოს საგანგებო კომიტეტის მიერ ფინანსიურ და ბლოკადის სექციებთან ერთათ შემუშავებულ საერთო საფუძვლებზე.

**სურსათი დამშეულ ქვეყნებს.**

დახმარების ორგანიზაციის მთავარმა დირექტორმა მოხსენება წარმოადგინა მარტის განმავლობაში შეერთებულ შტატების, დიდი ბრიტანიის, საფრანგეთის და იტალიის მიერ მიღებულ ზომების შესახებ. ამ ხანში დარიგებულია 111,280,000 დოლარათ ღირებული 388,000 ტონა სურსათი. საბჭომ გადასწყვიტა მომავალ თვეში სურსათის მიწოდვა გააძლიეროს. საბჭომ კვლავ განიხილა იტალიისთვის ქვანახშირის მოწვდენის გაუმჯობესების საკითხი, რადგან იტალია ქვანახშირის დიდი საჭიროებას განიცდის. საბჭომ საგანგებო კომიტეტი დანიშნა სწრაფი ზომების მისაღებათ.

**ანტლანტიკზე გადაფრენა**

ლეიტენანტმა შეფილდმა პირველად განაცხადა ოფიციალურად, რომ მას სურს ატლანტიის ოკეანეზე გადაფრინდეს საზღვაო ჰაეროპლანზე, რომელიც შეერთებულ შტატების ფლოტის სიაშია შეტანილი. შეფილდი აფრინდება პოკვიდან შემდეგ ნაპირის გასწვრივ: ნიუფლანდლემდე, სადაც როგორც სჩანს 3 გემი მოელოდინება მას. ამ გადაფრენაში ადგილი არ ექნება შეჯიბრებას და ყოველგვარი ზომები იქნება მიღებული უბედურ შემთხვევის თავიდან ასაცილებლად. ფიქრობენ, რომ გადაფრენა მაისის პირველამდე მოხდება. გაზეთებს ამის შესახებ მხოლოდ 24 საათით წინ შეატყობინებენ.

**ამერიკის ფლოტი**

ატლანტიის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილის ამერიკის ფლოტი იდგუდხონთან დგას და შესდგება ას სამხედრო ერთეულებისაგან. ეს უდიდესი ფლოტი, რომელიც კი ოდესმე ნახულა, შესდგება 14 ორედნოუტისაგან, რომელთაგან ორზე ელექტრონის მატორია.

**გამარჯვების სესხი**

ნიუიორკში მოვიდა 115 ბელგიელი დაჭრილი ოფიცერი და ჯარისკაცი, რომელთაც სამხედრო წარმატების ნიშნები აქვთ მიღებული. მათ ხელი უნდა შეუწყონ „გამარჯვების სესხზე“ ხელის მოწერას.

**ოთხთა საბჭო**

ოთხთა საბჭომ დღევანდელ სხდომაზე განიხილეს ბელგიის საზღვრების შესწორების და რუსეთის დამშეულ ოლქებში სურსათ-სანოვაგის გაგზავნის საკითხები. დღეს შუადღის შემდეგ ოთხთა საბჭოს თათბირი ქონდა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან, რომელთაც სურდათ გაეგოთ შესაფერ სექციების მიერ მართლა შემუშავებულია თუ არა საზავო ხელშეკრულების ტექსტი.

**ხალხთა ლიგის წარმომადგენელნი სტამბოლში**

სცადეს შეერთებული შტატები დაეყოლებიათ, რომ სტამბოლის მართველობისთვის ხალხთა ლიგის რწმუნებულნი დაინიშნონ. ეს პროექტი ამერიკულ წრეებში მოიწონეს.

**ამერიკის, საფრანგეთის, ინგლისის კავშირი**

მიუხედავათ იმისა, რომ ყველაფერი რაც კი ხდება საიდუმლოებით არის მოცული, ზოგიერთი ცნობები მაინც იბეჭდება გაზეთებში. მაგალითად, მართლდება ის ხმები, რომ ამერიკამ თავდაცვითა კავშირი შეკრა საფრანგეთსა და ინგლისთან. საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის დელეგაციათა არც ერთი წევრი ამის შესახებ არას ამბობს. ფრანგულმა პრესამ მოულოდნელათ კილო გამოიცვალა და ამერიკის ყველა პროექტები მოსწონს.

ერთი რწმუნებულთაგანი, რომელიც ამ შემთხვევაში ავტორიტეტია, ამბობს, რომ ეს პროექტი შეიქმნა იმის წყალობით რომ საფრანგეთმა დახმარება გაუწია ხალხთა ლიგის შექმნას და ამაში ხედავს ამ სისუსტეს. თუ ლიგა ძლიერი იქნება მაშინ მოგერიებითი კავშირი საჭირო აღარ იქნება, ხოლო თუ იგი აუცილებელია, მაშინ ლიგის შექმნას მნიშვნელობა ეკარგება, განსაკუთრებით ბევრ სხვა ერთათვის, რომელთაც მოკავშირენი არა ყავთ.

## ფრანგული პრესა

**გერმანიის რწმუნებული ვერსალში.**

ვილსონმა დღეს, საღამოთი ნოტით დაადასტურა, რომ გერმანიის რწმუნებულთა ვერსალში მოწვევა აპრილის 25 თვისაა დანიშნული.

**საკითხების განხილვა.**

სულ მოკლე ხანში გადასწყვეტენ იმ საკითხებს, რომელიც საბოლოოთ არ განუხილავს ჯერ.

**მღელვარება გერმანიაში.**

ბერლინიდან მიღებული დეპეშები იუწყებიან, რომ მიუნხენში უწესოება იზრდება. სოციალისტური და კომუნისტური მთავრობა ერთმანეთს იარაღით ებრძვის ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ. დიუსელდორფსა და დრეზდენში მდგომარეობა ასეთივეა. დრეზდენში აჯანყებულებმა ერთი მინისტრი მოკლეს.

## ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი**, აპრ. 16. სიმბირსკის გუბერნიაში კომუნისტების და მათ თანაგრძნობთა მობილიზაცია ალფრთოვანებით ტარდება. სიზრანში 5 დღეში შესდგა ტროცკის სახელობის კომუნისტების პოლკი.

**სიმბირსკი**. აპრ. 16. ბეგუმინიდან გამოქცეულები ამბობენ, რომ რომელიმე სოფელთან ბრძოლის შემდეგ კოლჩაკელებს მიჰყავთ სამღვდელოება პარაკლისებს იხდიან, შემდეგ 40 წლამდე ყველა მამაკაცებს ჯარში იწვევენ და არწმუნებენ მათ, რომ აიღებენ თუ არა უახლოეს ქალაქს 3 დღის შემდეგ, მათ ყველას გაანთავისუფლებენ.

**ნაუენი**. აპრ. 16. მთელი მიუნხენი კომუნისტების ხელშია. აირჩიეს ალმ. კომიტეტი ლევინის თავმჯდომარეობით. მიუნხენის გარნიზონი კომუნისტების მხარეზე გადავიდა. ახალმა კომენდანტმა ბურჟუაზიისადმი ძალიან მკაცრი განკარგულებანი გამოსცა. პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ყოველგვარი მოძრაობა შეუძლებელი გახდა.

**სამარა**, აპრილის 21. აღოსავლეთის ფრონტზე ბუნებრივ დაბრკოლებათა გამო და დამხმარე ჯარების მოსვლის წყალობით მტრის წინ სვლა შევაჩერეთ. ზოგან ჩვენი ჯარი ნაწილობრივ შეტევაზე გადადის. ბუგულმასა და ბუგურუსლანის შუა ჩვენმა ჯარმა რამდენიმე მცირე გამარჯვება მოიპოვა. ბუგურუსლანთან ჩვენ ჯავშნიანმა მატარებელმა მტრის მოწინავე ხაზებს დაუშინა.

**სიმფეროპოლი**, აპრილის 17. წითელი ჯარი სევასტოპოლს მჭიდროთ გარს შემოერტყა. ნავთსადგურში სდგას მოკავშირეთა სამხედრო ფლოტი, რომლიც ზარბაზნებიც ქალაქისკენაა მიბრუნებული. ქალაქში დარჩა ფრანგების და სენგალელთა მეციხოვნე ჯარი. მდგომარეობა მწვავეა. მუშათა ორგანიზაციები მზადაა გამოსვლის მოსაწყობად. ყირიმის მთავრობა სტამბოლში გადავიდა.

**სიმფეროპოლი** აპრ. 17. მოკავშირეთა სარდლობის და ჩვენი დელეგაციის სამი დღის მოლაპარაკების შემდეგ მოხდა შეთანხმება, რომლის ძალითაც დროებითი ზავი ჩამოვარდა აპრილის 25-ამდე: ქალაქში ძალაუფლება რევოლიუციონურ კომიტეტის ხელში გადადის.

**კიევი** აპრ. 17. საბჭოთა ჯარმა დაიჭირა კამენეც-პოდოლსკი და ოვიდიოპოლი, ავერმანის ახლო. დნესტრის შესართავი ჩვენს ხელშია. ჩვენი არტილერია ტირასპოლს უშენს. ჩვენ დავიჭირეთ სევასტოპოლის ყველაზე მტკიცე სიმაგრე მალახოვ ვურგანი, ფეოდოსიის მიმართულებით დავიჭირეთ ყარასუ ბაზარი, ატანია და გრამატიკოვო. „რევოლიუციუნერთა ბორბა“ იუწყება, რომ ფეოდოსიაში მუშათა მასიური აჯანყებაა და საბჭოთა ჯარი წინ მიიწევს. მოხალისეთი მიერ მცხოვრებთაგან შეკრებილი და აჯრიყების ჩასაქრობათ გაგზმვნილი ჯარი დამარცხდა და უკან დაიხია.

## უცხოეთის ამბები
### ჟურნალ-გაზეთებიდან

**საერთაშორისო ომში დახოცილთა რიცხვი.**

ამერიკის გენერალურ შტაბის უფროსის გენერალ მარჩის ანგარიშით მსოფლიო ომში მოკლულთა რიცხვი 7.354.000 აღწევს.

ეს რიცხვი სხვა და სხვა ქვეყნებზე ასე განაწილდება:

რუსეთს დაუხოცეს—1.700.000, გერმანეთს—1.600.000, საფრანგეთს—1.305.000, ავსტრიას—800.000, ინგლისს—706.000, იტალიას—460.000, ოსმალეთს — 250.000, ბელგიას — 102.000, ბულგარეთს—100.000, რუმინეთს—100.000, სერბეთსა და მთაშავეთს—100.000, ამერიკას—50.000.

ამ რიცხვში უკვალოდ დაკარგულნი არ შედიან.

**არაბული სიტყვა საზავო კონგრესზე.**

გეჯასის წარმომადგენელ ემირ ფეზულმა საზავო კონგრესზე სიტყვა სთქვა, რომელსაც გაზეთი „M. Post“-ი ასე აგვიწერს:

„ემირმა სიტყვა არაბულ ენაზე სთქვა. ყველა აღტაცებული იყო მისი ორატორული ნიჭით, განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სიტყვის იმ ადგილმა, სადაც ემირმა განაცხადა, რომ მისი სამეფო ცხრაას წელზე მეტია რაც არსებობს... მთელი სიტყვა გაგრძელდა 20 წუთს, ეს კონგრესზე წარმოთქმულ ყველა სიტყვაზე უმოკლესი სიტყვა იყო. ყველაზე გრძელი სიტყვა პოლონელთა წარმომადგენელმა დმოვსკიმ წარმოსთქვა, რომელმაც შეუწყვეტლივ 2. საათზე მეტი ილაპარაკა.

ემირ ფეიზულის სიტყვა მოკლედ შემდეგში მდგომარეობდა:

მამაჩემს, გეჯარის მეფეს, არ სურს თავის სამეფოს ერთი მტკაველი სხვისი მიწა შეჰმატოს, მაგრამ იგი არაბთათვის (ე. ი. არაბულ ენაზე მოლაპარაკეთათვის) მოითხოვს იმავე თვითგამორკვევის უფლებას, როგორიც ინგლისელებმა მესოპოტამიის არაბებს მიანიჭეს.

ამ განცხადების დროს მე არ ვეყრდნობი ერთ მანდატს და მხოლოდ აფრიკის არაბთა სახელით არა ვლაპარაკობ. მე არ გამოვდივარ არც საფრანგეთის წინააღმდეგ იმდენად, რამდენადაც საფრანგეთი არ შეავიწროებს იმათ მოთხოვნილებებს, ვინც 3 წელი ანტანტის მოკავშირე იყო.

„M. P.“-ის კორესპოდენტი დასძენს რომ მიუხედავად იმისა რომ ემირ ფეიზული კონსტანტინეპოლში აბდულ ჰამიდის დროს სწავლობდა, იგი ევროპიულ დიპლომატიას მაინც გაცნობილიაო.

ფრანგული პრესა ემირს კარგად არ იხსენიებს.

**რუსეთის სეპარატიული ზავი**

„Jourde Ceu.“-ს მოჰყავს ამონაწერი „Pester Lleavd“-იდგან სადაც ამტკიცებს რომ რუსეთმა ამ ომის დროს ცენტრალურ სახელმწიფოებს სეპარატიული ზავის წინადადებით სამჯერ მიჰმართა. პირველად 1916 წ. ოქტომბრის 16-ს. მეორედ 1917 წ. იანვრის 24 ს და შემდეგ 1917 წლის მარტის დამდეგს რუსეთი მოითხოვდა რომ ცენტრალ სახელმწიფოებს სრუტეების საკითხში დაეთმოთ რამე. იმპერატორი კარლოსი და მეფე ფერდინანდი მომხრე იყო ამ წინადადებისა, ხოლო გერმანიის გენერალურ შტაბმა კატეგორიულად უარყო. რუსეთი მზად იყო პოლონეთზედაც ხელი აელო და მხარი დაეჭირა ავსტო-პოლონურ გადაწყვეტილებისათვის. ესეც ერთი მიზეზთაგანი იყო გერმანიის უარისა.

**ბოლშევიკთა ლიდერები.**

ინგლისური გაზეთის „Times“-ს კორესპოდენტი ასე აგვიწერს ბოლშევიკების ლიდერებს.

ტროცკი მთლიანად სამხედრო საქმეებში გაერთო. მას ჯარების მოწყობა აქვს ჩაბარებული. სამხედრო ტანისამოსში ჩაცმული ძალიან ბევრს მოგზაურობს და თუ—მიტინგებზე გამოსულს არა, იშვიათად ხედავენ.

ზინოვიევი პეტროგრადის დიქტატორი—თავის სიტყვებში ლოიდ ჯორჯს ტირანს უწოდებს, პრეზიდენტ ვილსონს ცრუ მორწმუნეს. ერთ თავის სიტყვაში განაცხადა რომ ვილსონს ისევე სწამს უაზრო საქმენი როგორც ღვთაებას.

მისტერ გენდერსონს იგის სულელს უწოდებს.

ლენინი ბოლშევიზმის მომავალს უიმედოთ უცქერის. მან საქვეყნოდ განაცხადა რომ ბოლშევიკურმა რეჟიმმა ადგილი სხვა მმართველობას უნდა დაეთმოს.

„ეს ხომ მხოლოდ ცდა არის“-ო. მეორე ადგილას ლენინმა განაცხადა: „ძველმა ეკონომიურმა პირობებმა დაგვიტოვეს მრავალი მცოდნე და გამოცდილი პირები, რომლებიც ჩვენთან საერთო მუშაობაში უნდა ჩავაბათო“. ტროცკი ამასვე სხვანაირად ამბობს: „ჩვენ იმდენად ძლიერნი ვართ რომ ყველა ცუდ ელემენტს ჩვენ ორგანიზმში შემოჭრილს გადავხარშავთ“.

როზა ლიუქსემბურგსა და კარლოს ლიბკნეხტის სიკვდილის გამო, რომ გლოვა გამოაცხადეს სახალხო კომისრები ამაოდ სცდილობდნენ ბალები და საღამოები, სადაც წითელ არმიელები ატარებდნენ დროს—მოესპოთ. როცა ლიბკნეხტზე დაიწყეს ლაპარაკი მათ უსტვინეს. ჰყვიროდნენ, რომ ეს მათთვის საინტერესო არ არის.

ხელოვნების მინისტრ ლუნაჩარსკიმ დიდი ღვაწლი დასდო ხელოვნების ყველა დარგს. მან გადაარჩინა ხელოვნების ყველა განძი და დიდ მფარველობას უწევს ხელოვნებას.

შალიაპინი დიდ ფულს იღებს იმისათვის, რომ წითელ არმიელების და მუშებისათვის მღერის.

**საბჭოთა რუსეთის ბიუჯეტი.**

1918 წლის ბიუჯეტი, ფინანსთა კომისარიატის ოფიციალური ცნობით გამოანგარიშებულია 31 მილიარდი მანეთის დეფიციტით. სახელმწიფოს ხარჯი (გასავალი) უდრიდა 46 მილიარდს მანეთს, ხოლო შემოსავალი 15 მილიარდს. მხოლოდ წითელ ჯარზე დაეხარჯათ 15 მილიარდი.

## ბულგარეთი და ბოლშევიზმი

4.

ჰაერში დატრიალდა სუნი საშინელებისა, საგრძნობი გახდა მოსალოდნელი კატასტროფა და... მეფემაც დაიბარა ხალხის წარმომადგენელნი, რომელნიც წინად გადაყენებულ იყვნენ და ზოგიც ციხეში ისხდნენ (სტამბულიისკი და სხვ.) და ესაუბრა მათ, მათ შემდეგ საიდუმლოდ დაიბარა და მოელაპარაკა თავის ერთგულებს...

რამდენიმე დღის უკან მინისტრ ვ. როდოსლავოვის კაბინეთი დაეცა, რამაც არა ჩვეულებრივი დაფარული სიხარული გამოიწვია ხალხში. გაზეთებში თუმცა არაფერს სწერდნენ ქალაქში ხმა დადიოდა გერმანოფილების დაცემისა, მინისტრთა კრიზისისა და ახალი კაბინეთის შედგენის შესახებ. ყველა ელოდა მალინოვის ხელ-ახლად ჩადგომას სახელმწიფოს სათავეში და ასეც მოხდა... მალინოვმა, თუმცა ისეთი პირობები წარუდგინა კაბინეთის შესადგენად, რომელიც სასიამოვნო არ იყო არც მეფის, გერმანოფილების და თვით გერმანიისთვისაც, მაგრამ მეტი ღონე არ იყო, მეფეს უნდა მიეღო ეს პირობები.

ისე იყო აღფრთოვანებული ხალხი და ისეთ დიდს იმედებს ამყარებდა მალინოვზე, რომ ყველგან, გარეთ თუ შინ, გაზეთებში თუ სხვა რამ დაწესებულებში ამაზე ღა იყო ლაპარაკი და სჯა-ბაასი.

პირველ დღეებშივე გამომჟღავნდა როდოსლავოვის და კომპ. საიდუმლონი, ღალატი. გამოირკვა, რომ როდოსლავოვმა მილიონები შეიძინა სპეკულიანტობით: სანოვაგეს გერმანელებზე ჰყიდდა და იმ დროს, როცა ბულგარეთში ქინა-ქინის კრიზისი იყო, ერთი ვაგონი ქინა-ქინა გაუგზავნა, მერე ვის?.. ოსმალეთის „წითელ ნახევარ მთვარეს“ და ეს იყო, რომ მან ბერლინში და სოფიაში დიდი სახლები შეიძინა.

მალინოვმა, პირობისთანავე მაშინვე მოითხოვა გერმანელებისგან რკინის გზის დაბრუნება და შინაურ საქმეებში ჩარევის გაუქმება. ნელ-ნელა შეუგა მალინოვი ხალხის საქმის მოგვარებას და კეთილ-გონიერებაც ამას მოითხოვდა, მაგრამ ხალხმა ვეღარ მოითმინა მეტი და იმ დროს, როცა ქალაქში ჩუმი ხმა დადიოდა მალინოვმა მოლაპარაკება გაჰმართა საიდუმლოდ მოკავშირეებთანაო,—ფრონტზე არა ჩვეულებრივი მოვლენა მოხდა: ჯარში ჯერ დეზერტირობა დაიწყო და მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ორმა დივიზიამ იბრუნა პირი მიატოვა მართლაც კარგად გამაგრებული პოზიცია და შეიარაღებული წამოვიდა მხარის შუა გულისკენ... წინასწარ დახოცეს რავდენიმე აფიცერი, გაიმართა მოლაპარაკება და ხელად ამორჩეულ იქნენ ჯარის კაცთაგან აფიცრები, რომელნიც გამოეწყვნენ ფორმებში და წარუძღვნენ ჯარს „მოღალატე ფერდინანდის, როდოსლავოვის და კომპანიის დასახოცად“. მათ შედგენილი ჰქონდათ სია იმ პირთა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ღალატი და ხალხის დარბევა და რომელნიც უნდა შეეპყრათ და დაეხოცნათ.*)

ამ გვარად ეს ორი დივიზია წამოვიდა მეფის ტახტის ჩამოსანგრევად. დედა ქალაქი შეინძრა რა მიიღო ეს ცნობა- იქ მყოფი მეფის ერთგული გვარდია, გერმანელების ჯარი და არტილერია და იუნკრები, შეკრებილ იყვნენ აჯანყებულთა დასახვედრად, რომელნიც სოფიისკენ მოიწევდნენ. მართლაც ქალაქიდან 8—10 ვერსის მანძილზედ, გორა „ვიტოშა“-ს გადაღმა გამაგრდნენ „რევოლიუციის“ ჩამქრობელნი, მეფის ერთგულნი ყმანი. ქალაქში სხვა და სხვა საშინელი ხმები დადიოდა აჯანყებულებზე, რომელნიც „ბოლშევიკების“ სახელით მონათლეს. (ბოლშევიზმი რუსეთში, იმ დროს თავის უმაღლეს საშინელებამდე იყო მიხწეული და სიტყვა „ბოლშევიკი“ მოდაში იყო) წამოსული ჯარი „ბოლშევიკებისა“ უკვე მოსდგომოდა ქალაქ კიუსტენდილს, სადაც იმყოფებოდა ბულგარეთის არმიის მთავარი შტაბი, და მოკლე იერიშის მერე აელო. მოემწყვდია ყველა შტაბის აფიცრები ვისაც თავისთვის ვერ მოესწრო ეშველა და ამოეხოცა. მცხოვრებნი გახარებულნი შეჰგებებოდნენ მათ. ამ გვარად ერთი ქალაქი აღებულ იქმნა, სადაც მთავარი საწყობები იყო შაქრისა, ფქვილისა, ამუნიციისა და სხვ. ჯარისათვის. „ბოლშევიკებმა“ გატეხეს საწყობები, გამოიტანეს რაც შეეძლოთ, რაც არა ცეცხლს მისცეს. დაიწვა თითქმის მთელი ბულგარეთის პური, შაქარი, ამუნიცია და სხვა მოდიბული იყო მთელ ჰუჩებში. მცხოვრებნიც რასაკვირველია სარგებლობდნენ შემთხვევით. ემადლებოდნენ და ჰშველოდნენ მათ. აწიოკება რომ გაათავეს და მოიჯერეს გული, მოაგონდათ თავიანთი წამოსვლის მიზანი და გამოსწიეს ქ. სოფიისკენ. ვისაც კი შეჰხვდებოდნენ გზაში ყველას იარაღს აძლევდნენ და ძალად იერთებდნენ. რუსის ტყვე სალდათებიც ერიათ მათ.

მოადგნენ სოფიას, მაგრამ გერმანელთა ზარბაზნები ახმაურდნენ და შეუღობეს წინ სავლელი გზა... დაიწყო შეტაკება...

ბოლშევიკთა უმთავრესი შეცდომა იმაში იყო, რომ არავითარი ორგანიზაცია არ ჰქონდათ და ნაწილ-ნაწილ მოდიოდნენ. ეს ბრალი იყო მათი „აფიცრებისა“—წინამძღოლთა, თორემ ორი დივიზია საკმარისი იყო ქალაქის ასაღებად, რადგან მათ წინააღმდეგ მცირე რიცხოვანი ჯარი იდგა.

ქალაქი ჩაკვდა... ნერვიულ მოლოდინში იყო გახვეული, მოძრაობა შემცირდა. ყველაფერმა მისტიური სახე მიიღო. ქუჩაში მოსიარულეთ რაღაც სიფრთხილე ეტყობოდათ შიშთან შეერთებული (ნამდვილად სიტყვა „ბოლშევიკი“-სა ეშინოდათ მათ!) და ერთმანეთს ისეთ თვალით შეჰხედავდნენ ხოლმე თითქოს უნდათ ერთმანეთის ხედვაში ჰნახონ საქმის ნამდვილი ვითარებაო. გაზეთები სრულიად არაფერს სწერდნენ ამის შესახებ, მაგრამ მახლობელ ფრონტიდან მალ მალ მოდიოდა ახალ-ახალი ცნობები. ზარბაზნების გრიალი ახლო ისმოდა და ეს უფრო, აშფოთებდა ხალხის სიმშვიდეს... ღამით ზარბაზნის ხმის გარდა მოსჩანდა ცეცხლი მაღალ „ვიტოშაზედ“, რომელიც ეკიდა ტყეს... ქალაქში პატრულები გახშირდნენ. საგანგებო აფიცრები დადიოდნენ და ბულგარელ აფიცრებს აგროვებდნენ ფრონტზედ გასაგზავნად. ყველას აჩერებდნენ და სთხოვდნენ მოწმობებს.

აი მოვიდა ხმა, სიმაგრე „ვიტოშა“ აიღეს ბოლშევიკებმა და რავდენიმე საათის შემდეგ თუ აქაურებმა ვერ შეიმაგრეს სოფიაში შემოვლენო...

მოლოდინის შიშმა აიტანა მცხოვრებნი. ბულგარელ აფიცრებსაც ეშინოდათ, რადგან გრძნობდნენ მოსალოდნელ საფრთხეს...

ახალ პოზიციასთან მოხდა შეტაკება. მაგრამ ბოლშევიკები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. *) ღამით როდოსლავოვი სოფიიდან გაიპარა. მეფე კი იჯდა სასახლეში და მის სასახლეზე ბაირაღი, რომელიც ამცნობდა მეფის აქ ყოფნას, მხიარულად ფრიალებდა.

გათენდა დილა... ისევ-ისე მოისმოდა ზარბაზნების გრიალი. ქუჩაში „ბოლშევიკი“ ტყვეები ჩამოატარეს. ხალხი მათ იმ გვარად უყურებდა თითქოს ესენი ბულგარელები კი არა აფრიკის შავ-კანიანთა ჯარი მოდისო.

ეს მდგომარეობა, რასაკვირველია,

---

*) სიის პირველ რიგში ფერდინანდ მეფე ეწერა მას მოსდევდა როდოსლავოვი და სხვ. სულ მგონი 210 კაცი.

*) დაჭრილებს „ბოლშევიკები“ შველას ვერ უჩენდნენ შესახვევ მასალის და წამალთა უქონლობის გამო.

ემცნო გერმანიის მთავარ-შტაბს. ეს მოვლენა მართლაც რომ საფრთხეს უმზადებდა გერმანელებს და მათაც საჭირო ღონის ძიებას მიჰმართეს რათა საქმე არ გართულებულიყო. მაგრამ... ეს ღონის ძიება გვიანი აღმოჩნდა. გერმანიას განზრახვა ჰქონდა რუმინეთში საიდუმლოდ მდგარი მაკენზენი თავის ჯარით, გადმოეყვანა დუნაიზე და დაეხვედრებინა მოკავშირეთათვის, რომელთაც რა წამს დასტოვეს ბულგარელებმა პოზიცია ისარგებლეს გარღვეულ ფრონტით და შემოერტყნენ თითქმის მთელ არმიას მაკედონიის ფრონტზედ მდგარს. ისე, რომ მთელი არმია ტყვედ იყო ჩავარდნილი. მათ შორის პირველი ბულგარული დივიზია, რომელმაც თავი ისახელა ამ ომში და „რკინის“ სახელს ატარებდა. მოკავშირენი ამით არ დაკმაყოფილდნენ სისწრაფით წამოვიდნენ წინ და ერთს ქალაქს მეორეზე იღებდნენ...

მდგომარეობა გართულდა... ორი მხრიდან მოდიოდა საფრთხე: იქ მოკავშირენი სერბიელებით და აქ, ბოლშევიკები თავიანთი განადგურებით.

ბულგარეთის მთავრობამ ყური აღარ ათხოვა გერმანიას და პარლამენტიორები გაგზავნა მოსალაპარაკებლად და დროებით ზავის (перемиріе) ჩამოსაგდებათ. ერთ ფრონტზედ უკვე შეჩერებულ იქმნა წინ სვლა. მაგრამ ზავის პირობები ისეთი მძიმე იყო, რომ მთელი იმედი რომელსაც ბულგარეთი გერმანიის დანაპირებზე და ომზე ამყარებდა—ჩაიფუშა.

ბულგარეთი უნდა დარჩენილიყო ძველ საზღვრებში, როგორც ომამდე იყო, მაკედონიიდან და დობრუჯიდან ჯარი უნდა გაეყვანა, ჯარს იარაღი უნდა აჰყროდა და დემობილიზაცია მოეხდინათ. გერმანელები როგორც სამხედრო ისე მკვიდრი მცხოვრებნი ერთი თვის განმავლობაში უნდა გასულიყვნენ ბულგარეთიდან, კონტრიბუცია უნდა გადაეხადნა და აენაზღაურებინა სერბეთის და რუმინეთის ზარალი და სხვ. და სხვ.

გამომჟღავნდა ეს პირობები, მაგრამ ხალხმა ხმა ვერ ამოიღო. თუმცა თვითეული თავს იქნევდა და ამბობდა მაშ რისთვის ვიბრძოლეთ 3—4 წელიწადი თუ კი ეს მოგვივიდოდაო?..

„ბოლშევიკების“ საქმეც ცუდად წავიდა. კონტრრევოლიუციონერებმა აჯობეს. და როცა „ბოლშევიკებმა“ გაიგეს ზავის ჩამოგდება ასობით ჰნებდებოდნენ და ამბობდნენ: „ჩვენ მეამბოხენი არა ვართ, სხვებმა შეგვაცდინესო!“.

რამოდენიმე დღის უკან მოისპო „ბოლშევიკთა“ ფრონტიც, ზოგი მათგანი და იხოცა, ზოგი მთებში შეიმალა დ მეტი წილი ტყვედ წამოყვანილ იქმნა, მხოლოდ ქალაქ კიუსტენდილს შერჩა სამი დღით რესპუბლიკა!..

ამ რიგად ბულგარეთშიაც თავი იჩინა „ბოლშევიზმმა“, რომელმაც დიდი როლი ითამაშა, არა ბულგარეთის ცხოვრების პროცესში, არამედ მსოფლიო ომის დაბოლოების მსვლელობაში. ბულგარეთის „ბოლშევიზმმა“ ერთი კვირა იცოცხლა, მერე ჩაქრა, მაგრამ შეარყია მსოფლიოს ბედ-იღბალი. უმთავრესად ამ მოვლენაში უნდო ვხედავდეთ ომის დამთავრების მიზეზს. სხვაგან მიზეზის ძებნა უაზროა. ამ გვარად ეს საშინელი ომი პატარა სახელმწიფომ დაიწყო (სერბეთი), თან ბუმბერაზნი ჩაითრია და მერე ისევ პატარა სახელმწიფომ ჩაუყარა მას მშვიდობიანობის საძირკველი (ბულგარეთი).

მართლაც, როგორც ზავის პირობა მოითხოვდა, ერთი თვის განმავლობაში გერმანელებმა დასტოვეს ბულგარეთი, რომელსაც მოკავშირეებმა მთელი ოკუპაცია უყვეს და ყველგან თავიანთი ჯარი ჩააყენეს. ოსმალეთი მოსწყდა გერმანია-ავსტრიას და უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. ამავე ხანს ეკუთვნის ავსტრიაში არეულობის ამბავი, რომელიც იტალიელთა შემოტევით და მდგომარეობის გართულებით მოხდა. ამას მოჰყვა ოსმალეთის მიერ იარაღის დაყრა და მარტოდ მარტო დარჩენილი გერმანეთი იძულებული შეიქმნა ქედი მოეხარა მოკავშირეთა წინაშე... რომელმაც დაბოლოს გერმანეთშიაც რევოლიუცია გამოიწვია...

5.

თვით ბულგარელებს თუ დაუჯერებთ მათი „ბოლშევიკები“ ნამდვილი ბოლშევიკები კი არ იყვნენ (რომელთაც აქვთ თავიანთი პარტია, ჰყავთ თავიანთი წარმომადგენელი პარლამენტში (1 კაცი) და დაარსებული აქვთ ბეჭდვითი ორგანო. მათ გაზეთს სახელად „Работнически вѣстникъ“ —„მუშათა გაზეთი“—ჰქვიან), არამედ ეს იყო ბანდა, შეუგნებელი ელემენტი, ომისგან უკმაყოფილონი და მოშიშარნი, დეზერტირები და სხვა. რასაკვირველია მათშიც ერია ნამდვილი ბოლშევიკები, მაგრამ მეტი წილი „земледѣлческа партия“-სანი იყვნენო და სხვ.

ბულგარეთს აი რა მოუტანა ამ არეულობამ: ზავის შეკვრის შემდეგ მეფე ფერდინანდმა მანიფესტი გამოსცა, აბდიკაციის შესახებ და ტახტი თავის მემკვიდრეს ბორის II-ეს დაულოცა. ბორისმაც მანიფესტით აცნობა ხალხს თავის გამეფება და კონსტიტუციის უზრუნველ ყოფა, ერთგულება და რადგან ბორისი ხალხს უყვარდა, ბევრი ხალხი დაესწრო მის ტახტზე ასვლას... პარლამენტიც გაიხსნა, რომელიც აქამდინ დახურული იყო. „ბოლშევიკები“ კი ყველას დასჯის შეუძლებლობის გამო, პატიებულ იქმნენ...

ამით დამთავრდა ბულგარეთში ეს ავ-ბედითი „ბოლშევიზმი“...

**არჩილ მაჭავარიანი.**

# პარტახტიანი ან შავი ს ხადი

(Typhus exanthemafcus)

ჯერ კიდევ საზოგადოება არ გამორკვეულა იმ შიშისა და ზარისაგან, რომელიც გამოიწვია **ინფლუენცამ**, ანუ, როგორც ხალხმა იგი მონათლა „ისპანკამ“; ჯერ არ გაცივებულან მის მსხვერპლთა საფლავები და კარს მოგვადგა ეპიდემია მეორე, უფრო საშინელი ავადმყოფობისა; ეს ავადმყოფობა გახლავთ **პარტახიანი ან შავი სახადი.** იგი მძიმე სენია და საშუალო რიცხვით ას ავადმყოფში 15—20-მდე ჰკლავს; ზოგჯერ კი, თუ პირობები ხელს შეუწყობენ (ომიანობა, შიმშილობა) მისგან მკვდართა პროცენტი გაცილებით მეტია.

ჩვენდა საბედნიეროდ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საშიშ მოარულს წრეულს კეთილი თვისება დაჰყვა და, თუმცა ამ მოარულით ძალიან ბევრი ხდება ავად, სიკვდილით კი ძალიან ცოტა ზარალდება.

**ცნების განმარტება.**

რა არის პარტახიანი სახადი? იგია გადასადები ავადმყოფობა. იწყება უცბად დიდი სიცხით, თავისა, წელისა და მუხლების ტკივილით, მეხუთე დღეს იცის პარტახტის გამოყრა, თანა სდევენ დიდი სისუსტე, გონების დაბნელება, ბოდვა, შფოთვა და უძილობა; ორი კვირის ან 17 დღის დამლევს, თუ ავადმყოფმა დასძლია სენი, კრიზისით თავდება და ავადმყოფი მალე რჩება.

**გეოგრაფიული გავრცელება.**

პარტახტიან ან შავ სახადს კარგად იცნობს რუსეთი, ვენგრია, იტალია, ოსმალეთი, სპარსეთი, ირლანდია და სხვანი; სამაგიეროთ, მას ნაკლებ იცნობს გერმანია, ინგლისი, შვეცია, დანია, ბელგია, შვეიცარია, ისპანია და ზოგიერთი სხვა ქვეყნები. 1904 წლიდამ 1913 წლამდე, ანუ 9 წლის განმავლობაში, გერმანიაში პარტახტიანი სახადით ავად გამხდარა 85 კაცი, ანუ წელიწადში 9-ნახ. კაცი და ამ შემთხვევებშიც სახადი გარედამ, უცხო ქვეყნებიდამ ყოფილა შემოტანილი.

რუსეთში 1910 წელს შავი სახადით ავად გამხდარა 132,425 კაცი; 1911 წელს—113,473 და 1913 წელს 93,165 კაცი.

უწინდელი ომების დროს შავი სახადისაგან გაცილებით მეტი მეომარი კვდებოდა ვიდრე იარაღისაგან. მაგ. ყირიმის ომში, რუსის ჯარში სხ. და სხ. სახადისაგან 600,000 მეომარი მოკვდა, ხოლო იარაღით მოკლულ იქმნა 30,000 მეომარი, ე. ი. ოცჯერ ნაკლები.

პარტახიანი სახადი უფრო ხშირად მძვინვარებს ომიანობის ან შიმშილობის დროს და ამიტომაც სხვადასხვა დროს ეძახდნენ „ჯარის სახადს“ ან „შიმშილობის სახადს“.

**ეპიდემიოლოგია (სახადის გაჩენის და გავრცელების პირობები.)**

პარტახტიანი სახადი ხან თითო-ოროლა გვხვდება (სპორადიულად) ხან კი გახშირდება ხოლმე და ეპიდემიურ ხასიათს იღებს. **სიღარიბე**, შიმშილი ხელს უწყობენ მის გავრცელებას. მცირე საზრდოობა, ცუდი ბინა და უხეირო ტანისაცმელი, მჭიდრო ცხოვრება —აი ხელის შემწყობი პირობები პარტახიანი სახადის ძლიერებისა.

ლონდონის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 18,268 სახადიან ავადმყოფში 97 პროც. ღატაკი იყო. ამასვე ადასტურებენ პეტერბურგის ცნობები: 9 წლის განმავლობაში დაგროვილი სტატისტიკური ცნობები მოწმობენ, რომ შავი სახადით ავადმყოფთა რიცხვში 96,8-პრ. ღარიბია, 3,5 პროც. შეძლებული და ხოლო 0,8 პროც. მდიდრები.

შემჩნეულია, რომ დიდ და ხანგრძლივ ომებს, მოუსავლობას, შინაურ არეულობას მოსდევს ხოლმე პარტახტიანი სახადის მძვინვარება.

ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ ომებს, მოუსავლობას და შინაურ არეულობას მოსდევს ხალხის დაქვეითება ეკონომიურად, მისი გაღარიბება.

კარგ ნიადაგს წარმოადგენს შავი სახადის გასაძლიერებლად **ომიანობა:** მჭიდროობა, უსუფთაობა, სხეულის მოქანცვა და ნაკლები საზრდოობით მოუძლურება—ყველა აქ იყრის თავს. რომელ ჯარშიაც ეს პირობები მეტია, იქ სახადიც უფრო გავრცელებულია; იქ კი, სადაც ეს პირობები სხვა და სხვა სანიტარული ზომების შემწეობით აშორებულია, იქ სახადიც ან სულ არ არის, ან თუ არის, ისიც თითო ოროლა. შორეულ ისტორიულ მაგალითებს რომ არ გამოუდგეთ, ეხლანდელმა მსოფლიო ომმა ამის დასამტკიცებელი მაგალითები ბევრი გვიჩვენა: მოუწყობელი, უსუფთაო და მშიერი ჯარები ოსმალეთისა და სერბიისა შავმა სახადმა უფრო გაანადგურა, ვიდრე მტრის იარაღმა. პატარა სერბიის ჯარში 48,000 მეომარი მოკვდა პარტახტიანი სახადისაგან და ხუთჯერ მაგდენი კიდევ ავად იყო. სამაგიეროთ, ინგლისის, გერმანიის და საფრანგეთის ჯარებში, სადაც მიღებული იყო ყველანაირი სანიტარული ზომები, სახადით ავადმყოფი ან სულ არ იყო, და თუ იყო, სრულიად უმნიშვნელო რიცხვი.

პარტახტიანი სახადის ეპიდემიის გაჩენას ხელს უწყობს მცირე საზრდოობის გარდა, აგრეთვე **სხეულის დაქანცულობა**, დაღლილობა; სხვა რომელიმე ავადმყოფობით დასუსტებულ სხეულს ადვილად ედება სახადი. ამიტომაც ხშირია, რომ შავი სახადის ეპიდემია მოსდევს ხოლმე სხვა რომელიმე ავადმყოფობის ეპიდემიას.

პარტახტიანი სახადის ეპიდემიის გაჩენას ხელს უწყობს აგრეთვე **მჭიდრო ცხოვრება.** ამიტომაც შავი სახადი ხშირად მძვინვარებს საპყრობილეებში, გემებზედ. სიღარიბესთან დაკავშირებული უსუფთაობა საუკეთესო ნიადაგია სახადის გაჩენა გავრცელებისა. პარტახტიანი სახადი ზამთრობით, მეტადრე ზამთრის მეორე ნახევარში, ძლიერდება, ზაფხულობით კი კლებულობს. სიცხე სპობს სახადის შხამს და ამიტომაც ცხელ ქვეყნებში იგი არ იცის.

პარტახტიანი სახადით ავად ხდებიან უფრო ხშირად ახალგაზდები, 15—30 წლამდე, თუმც არც ერთი ასაკი დაზღვეული არ არის ამ სენისაგან. სქესს მნიშვნელობა არა აქვს და ქალი თუ კაცი ერთნაირად ხდებიან ავად.

აღსანიშნავია ხელობის მნიშვნელობა პარტახტიანი სახადის გავრცელებაში; ხშირად ხდებიან ავად მომვლელები და საექიმო პერსონალი. მეტადრე მაშინ, როცა მათ ცუდ სანიტარულ პირობებში უხდებათ მუშაობა. სერბიის ჯარში, 350 ექიმთა შორის, 120 შავი სახადით მოკვდა. **სხეულის თვისებასაც** აქვს მნიშვნელობა: ზოგი ადამიანი, რაც უნდა ავადმყოფებში იტრიალოს, მაინც სახადით ავად არ ხდება, ზოგს კი ძალიან ადვილად ედება ეს სენი.

შავ სახად მოხდილი მეორედ ძალიან იშვიათად ხდება ავად; ამაზედ იტყვიან სხეულმა **იმუნიტეტი** შეიძინაო.

ერთი ადგილიდგან მეორეში სახადი ავადმყოფ ადამიანს გადააქვს.

**როგორა ვრცელდება სახადი?**

დიდი ხანია იცოდნენ, რომ პარტახტიანი სახადი ძალზედ გადასადები მოარულია. საკმაოა, ეგონათ უწინ, ავადმყოფის ოთახში შეხვიდე, რომ ავად გახდე სახადით. ყველა თანახმაა, რომ სახადიან ავადმყოფთან ახლო ყოფნა ყველაზედ ხშირი მიზეზია სახადის გადადებისა. რაც უფრო ხანგრძლივია ავათმყოფთან ახლო ყოფნა, მით უფრო ხშირი და ადვილია ავად გახდომა. ამ მხრივ მეორე ადგილი უჭირავს ავადმყოფის ნივთების და ლოგინ ტანისამოსთან შეხებას. ერთ კაცს პარტახტიანი სახადით ავად გახდომის მიზეზად ის გაუხდა, რომ იმ ეტლში ჩაჯდა, რომლითაც სახადიან ავადმყოფებს ეზიდებოდნენ. ბევრია იმისი მაგალითი, რომ ავად გამხდარან ისინი, ვისაც სახადიანი ავადმყოფების ლოგინთან ან ტანსაცმელთან ჰქონიათ საქმე (უჟიდნიათ, გაურეცხიათ, დაუკერებიათ და სხვ.) ყველა ეს დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ამ ბოლო დრომდე (ცნობილი არ იყო ავადმყოფობის გადაცემის მახლობელი მექანიზმი. ყველას ეგონა, რომ ეს გადაცემა ავადმყოფობისა ჰაერით სწარმოებს, შხამი მოარულისა ჰაერში დაფრინავს, და ამიტომაც შავი სახადი მალე და ადვილად ვრცელდებაო. მაგრამ ცდამ და დაკვირვებამ შესცვალეს ეს აზრი.

**მწერების მნიშვნელობა შავი სახადის გავრცელებაში.**

შავი სახადით ავადმყოფის სისხლის აცრით შეიძლება საღ ადამიანს იგივე სახადი შევყაროთ; ამისათვის საკმარისია 0,5 კუბ. სანტ. ავადმყოფი სისხლი საღ ადამიანს კანქვეშ შევასხათ ნევსით. ამგვარადვე ექიმმა ნიკოლიმ მაიმუნებსაც შეჰყარა პარტახტიანი სახადი 1909 წ. ცხადი გახდა, რომ სახადის შხამი ავადმყოფების სისხლში იყო. სისხლს მკბენარი (ტილი, რწყილი, ბაღლინჯო) სწოვს. აქედან დაიბადა საკითხი, იქნება სისხლთან ერთად ამ მწერებს სახადის შხამი ავადმყოფიდან საღ ადამიანზე გადაჰქონდეთ. ამ მხრივ მრავალი ცდა მოახდინეს, როგორც ცხოველებზედ, ისე ადამიანებზედ და დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად ესე ხდება. შავი სახადით ავადმყოფ მაიმუნებს დაასხეს ტილები, მერე ეს ტილები გადასხეს საღ მაიმუნებზედ, რამდენიმე დღის შემდეგ ესენიც პარტახტიანი სახადით ავად დახდნენ. ამის შემდეგ საეჭვო აღარ იყო, რომ ტილს გადააქვს სახადი. ერთმა მომვლელმა ქალმა სახადიანი ავადმყოფის ტილი დაისვა ტანზე და რამდენიმე დღის შემდეგ შავი სახადით ავად გახდა. ყველა ზემო ნათქვამი ეკუთვნის ტანისამოსის და საცვლების ტილს. აღმოჩნდა, რომ თავის ტილსაც შესძლებია სახადის გადატანა, მაგრამ იშვიათად, რადგან თავის ტილი უფრო თავის კანის ჰუჭყით საზრდოობს და არა სისხლით. რაც შეეხება რწყილებს და ბაღლინჯოებს, ან სხვა მწერებს, მათ არ შეუძლიანთ პარტახტიანი სახადის გავრცელება. ამას ამტკიცებს მრავალი ცდა და ამ მწერთა ცხოვრების შესწავლა. მაშ, საცვლების და ტანისამოსის ტილი ყოფილა შავი სახადის გამტან-გამომტანი.

სიღარიბე, უსუფთაობა ბუდეა ტილებისა და ამიტომაც შავი სახადი იქ მძვინვარებს, საცა სიღარიბე და უსუფთაობაა. საარაკოა ზოგიერთების უსუფთაობა, ტილიანობა. ერთ ჰოსპიტალში სანიტარებმა 120 ავადმყოფზე ერთი ფუთი და ორი გირვანქა ტილი აკრიფეს. საცა ამდენი ტილია, რასაკვირველია იქ შავი სახადი ადვილად გავრცელდება. რომ სახადი ტილით ვრცელდება ამისი ერთი საბუთიც ის არის, რომ სანიტარული ზომები, როგორიც არის ტილების მოსპობა, სისუფთავის ჩამოგდება და მჭიდროობის შემცირება, ხელს უშლიან სახადის გავრცელებას და სახადს სულაც სპობენ.

როგორ და რანაირად გადააქვს ტილს შხამი სახადისა? უმთავრესად კბენით და სისხლში შხამის ჩაშვებით; უფრო იშვიათად, თვით ადამიანი ფხანის დროს სრესავს ტილს და ნაკაწრში აიცრის ხოლმე სახადის შხამს; ან კიდევ, ტილი ტყავზე განავალს სტოვებს და ფხანის დროს ამ განავალს თვით ადამიანი აიცრის ხოლმე.

ზემო ნათქვამიდან ცხადია, რომ შხამი სახადისა სისხლშია. სანამ ავადმყოფს სიცხე აქვს, მისი სისხლი მოშხამულია; ეს შხამი კიდევ რამდენიმე დღეს რჩება სისხლში სიცხის ჩამოვარდნის შემდეგაც. სხეულის სხვა სითხეში, ვერც განავალში და ვერც შარდში ეს შხამი არ აღმოუჩენიათ. არ არის იგი ავადმყოფის ამოსუნთქულ ჰაერში. ამერიკაში სცდილობდნენ აეცრათ მაიმუნებისათვის შავი სახადი ავადმყოფთა ნერწყვით და პირის ნაზლათი, მაგრამ ამაოდ. დიდი ხანია ექიმებ პარ. სახადის გამომწვევ მიკრობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ უპოვნიათ.

**სურათი ავადმყოფობისა.**

ავადმყოფობა უცბად იწყება უმადობით, თავის ტკივილით, სისუსტით, მცივნებით და სიცხის მომატებით. 24-48 საათის განმავლობაში სიცხე 38—39 გრადუსამდე ადის, ხოლო შემდეგ დღეს 40° აღწევს და მაღალ ციფირებზედ ჩერდება. ასე გასტანს 14—17 დღეს, ხან კი მეტს, ზოგჯერ კი ცოტა ნაკლებს. სიცხის ქანაობა ერთ გრადუსზე ნაკლებია და უფრო ხშირად ნახევარ გრადუსს არ აღემატება. ამ ხნის შემდეგ სიცხე ძირ-ძირს იწევს და სულაც ნელდება; სიცხის ჩამოვარდნა ხდება ორი დღის განმავლობაში. პირველ დღეებშივე ავადმყოფი სრულ გონებაზე ვერ არის, ხშირად ბოდავს, სახე წითელი აქვს, თვალები და ლორწოიანი კანი პირისა დაწითლებულია, თავის ტკივილი თანდათან მატულობს, ზედ ერთვის წელის და ფეხების ტკივილი, უძილობა და შფოთვა; ავადმყოფს ენა გაფიცხებული და მშრალი აქვს, ხან დახეთქილი და შავი. მეოთხე, მეხუთე ან მეექვსე დღეს ტყავზე აყრის პარტახტს; პარტახტი შიგ ტყავშია და ამობურცული არ არის; პარტახტი იცის მუცლზედ, მუცელზედ, ხელ-ფეხზედ და იშვიათად ხელისა და ფეხის გულებზედ. ხან პარტახტი დასისხლიანებულია. ტყავი ხან სქლად არის შეფენილი პარტახტით, ხან კი თითო ოროლა წინწკალს ვპოულობთ. თუ ავადმყოფობა მძიმე ხასიათისაა, ავადმყოფის გული თანდათან სუსტდება და 12-15 ან მეოცე დღეზე ავადმყოფი კვდება. თუ ავადმყოფმა სახადი გადიტანა, მაშინ იგი ძალიან მალე შედის რჩენაში, სულ მცირე ხანში იკრებს თავის ძალ ღონეს. ავადმყოფობის პირველ კვირას, პარტახტის გამოყრის ხანაში, ყურადღებას იპყრობს სასულე მილების ანთება, ხრინწიანი ხმა, ცხვირის სურდო და თვალების სიწითლე. უფრო მძიმე მდგომარეობაში ვარდება ავადმყოფი მეორე კვირაში: გულის მუშაობა სუსტდება, მაჯა ჩქარა და დუნეთა სცემს, სუნთქვა უღონო და აჩქარებული, გონება არეული; ავადმყოფს ხან შარდს ხუთავს, ხან კი შარდი ეპარება. მორჩენის წინა მორჩენის დროს ბედად გაჩნდება ხოლმე ოფლი, რომელიც უხვად სდის ავადმყოფს სიცხის ჩამოვარდნის ხანაში.

დაფარული ხანა შავი სახადისა, ანუ ის დრო, რომელიც გადის შხამის ჯანში შესვლიდამ ავადმყოფობის გამოჩენამდე, 4—12 დღეს უდრის.

**ნიშნების ცალ-ცალკე აღწერა.**

**ტემპერატურა.** შავი სახადის ნიშნებთა შორის ყველაზედ თვალსაჩინოა ტემპერატურა, იგი თავისებური ხასიათისაა. ნიშნობლივ თვისებებს შეადგენს სწრაფი გაჩენა და მატება: პირველ დღესვე 39°C-დე ადის, ხოლო შემდეგ დღეებში 40°C-აც აღემატება ხოლმე. სიცხის ხაზი ოდნავ ტენილია და დილა-საღამოს სიცხის განსხვავება $^1/_2$°C-ს არ აღემატება; ავადმყოფობის დასასრულს სიცხე ისეთივე სისწრაფით ჩამოდის, როგორი სისწრაფითაც იგი ადიოდა ავადმყოფობის დასაწყისში. სიცხის ასეთ სწრაფ ჩამოვარდნას ჰქვიან **კრიზისი.** რაც უფრო მძიმეა ავადმყოფობა, მით უფრო ხშირია კრიზისი, პირიქით, მსუბუქ ავადმყოფობაში სიცხე თანდათან ჩამოდის. ზოგჯერ ავადმყოფობის დასაწყისი სწრაფი არ არის, არამედ თანდათანი, და მაშინ მუცლის სახადს მოგვაგონებს. საშუალოდ სიცხე ორ კვირას გასტანს ხოლმე.

**ტყავის ცვლილებანი.**

ჩვეულებრივ, მეხუთე დღეზე (მე 3-ე და მე-7-ედ დღეები უკიდურესი ვადებია პარტახტის გამოყრისა) მუცელსა და შემდეგ დანარჩენ ტანზე ავადმყოფს გამოყრის ხოლმე პარტახტს,—წითელს, ფეტვის ოდენა, ან ცოტა დიდ წინწკლებს, რომლებიც, თითო რომ დავიჭიროთ, ჰქრებიან. პირველ ხანს ეს პარტახტი წითელას პარტახტსა ჰგავს, კან ქვეშიდამ გამოსჩანს, შემდეგში იგი უფრო მუქი წითელი ხდება და თითის დაჭერით აღარა ჰქრება. ამის მიზეზი წინწკლების ჩასისხლიანებაა. პარტახტი რამდენიმე დღის განმავლობაში მატულობს და ზოგჯერ მთელი ტანი მოფენილია ხოლმე მუქი-წითელი წინწკლებით. სახე და ხელ-ფეხის გულები ჩვეულებრივ თავისუფალი რჩებიან პარტახტისაგან. მეორე კვირის დასასრულს პარტახტი თანდათან ჰქრება და წითელი წინწკლების ალაგას მოშავო ლაქები რჩება. კანის აცვნცვა მოსდევს მარტო სქელ პარტახტს. მძიმე ავადმყოფობის მაჩვენებელია ტყავში სისხლის გამოღვრა, წყლულები და მუწუკები. ოფლი ხშირად თან ახლავს ამ ავადმყოფობას და კარგ ნიშნად ითვლებოდა. ხანდახან ტუჩებზედ მუწუკების გამოყრაც იცის ზოგჯერაც (8 პროც.) ავადმყოფობა ჩაივლის ხოლმე უპარტახტოთ.

ექიმი **კ. ელიოზიშვილი.**

(დასასრული იქნება).

## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსიკენ — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.


მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1 7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

**ალექსანდრე დავითის ძის ქიქოდიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მ ო ნ ს ე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—41